სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 15 მაისი 1997 №55 (420) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვედ ჩემპიონი

თბილისის „დინამო“

დგანან:
გიორგი კიკნაძე,
გივი დიდავა,
ლევან ცქიტიშვილი,
რატი ალექსიძე,
კახი კალაძე,
ლევან ხომერიკი,
გია ჩხაიძე,
სხედან:
გიორგი დემეტრაძე,
გელა ჭანტურია,
ზვიად ჯგლაძე,
გიორგი ანჩაბაძე

მეხუთედ

დავით ყიფიანი

1990 მდევარ „გურიას“ 6 ქულით აჯობა. თბილისში ლანჩხუთელებთან ფრედ ნათამაშევი მატჩის შემდეგ სტუმრად ქეცბაიას ერთადერთი გოლის წყალობით მოიპოვა ჩემპიონობა.

1991 ისევ „გურიასთან“ ბრძოლაში, ერთი ქულით გაიმარჯვა. გურულები „ტორპედოსთან“ ერთადერთმა წაგებამ დაღუპა.

91-92 საგრძნობი უპირატესობა უშუალო კონკურენტებთან „ცხუმთან“ და „გორდასთან“ 2-2 თამაშში გამარჯვებამ მოუტანა.

92-93 ქულა 19 დაკარგა, მაგრამ დანარჩენმა პრიზიორებმა „შევარდენმა“ და „ალაზანმა“ მეტი გაფლანგეს.

93-94 პირველად დაემუქრა ოქროს დაკარგვის საფრთხე, მაგრამ „შევარდენთან“ წაგებულ და „ტორპედოსთან“ დაზავებულ „კოლხეთს“ მაინც 4 ქულით აჯობა.

94-95 წინა ჩემპიონატი ამასთან მონაგონი იყო. უშუალო კონკურენტთან ორჯერვე წააგო. რაც „სამტრედიას“ ფოთში, ბათუმსა და რუსთავში არაფერი დაუთმეს, ჩემპიონი მაინც გახდა.

95-96 „სამტრედიამ“ ბრძოლას მხოლოდ პირველ წრეში გაუძლო, სხვებს კი „დინამომ“ შანსი არ მისცა.

96-97 „ბათუმმა“ „დინამოსთან“ შინ წაგების მერე საგარეო ფრეებს უმატა და ამით ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაასრულა. „დინამომ“ ერთადერთი მატჩი ფოთში კი წააგო, მაგრამ საჩემპიონოდ ესეც იკმარა.

საქართველოს ჩემპიონატი 27 ტური

გურია 0:1 მერანი
კახეთი 3:2 სამგურალი
დინამო 3:1 თსუ
ოდიში 3:1 მარგვეთი
ივერია 2:6 კოლხეთი
სიონი 5:1 სამტრედია
დილა 2:0 გორდა
ტორპედო 3:2 ბათუმი

დინამო	26	22	3	1	85:19	69
ბათუმი	27	16	8	3	62:19	56
კოლხეთი	27	17	4	6	60:27	55
მერანი	27	16	6	5	44:24	54
ტორპედო	27	14	3	10	66:52	45
ოდიში	27	12	1	14	46:45	37
მარგვეთი	26	11	1	14	40:57	34
დილა	27	9	7	11	26:30	34
სიონი	27	9	5	13	26:36	32
თსუ	27	8	8	11	35:37	32
გურია	27	9	3	15	30:53	30
სამგურალი	27	8	5	14	30:50	29
სამტრედია	27	8	3	16	25:52	27
კახეთი	27	10	1	16	27:53	26
გორდა	27	8	2	17	34:53	26
ივერია	27	5	6	16	21:51	21

ბომბარდირები

1 - მიხეილ აშვეთია	ტორპედო	22
- გიორგი დემეტრაძე	დინამო	22
3 - დავით უჯმაჯურიძე	ბათუმი	20

ეთერთმეტე პრეზიდენტია.

ლი. ამიტომაც, ის არის არამარტო მსოფლიო ფეხბურთის ტალანტებით მთავარი მომმარაგებელი, თანაც ელიტარული ტალანტებით, არამედ თავადაც მუდმივად რჩება ელიტარულ კლუბად. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი დადებითი გადმოვნერგო ამ კლუბის საქმიანობიდან.

— ჩვენში საკუთარი მატერიალური სიმყარის ესოდენ აშკარა აღიარება იშვიათია, მაგრამ ამას გარდა საჭიროა ხელისუფლების მხარდაჭერაც.

— ზუგდიდი ყოველთვის ცნობილი იყო, ერთი მხრივ, გულშემატკივართა ფანატიკური მხარდაჭერით, მეორე მხრივ, ხელისუფალთა სრული ინდიფერენტულობით. ეს იყო რაღაც აუხსნელი, ზუგდიდური ფენომენი. გუნდის მოვლაც

ვახტანგ ნანავა

მელიც აღარ იქნება დამოკიდებული „ვარსკვლავის“ კაპრიზებზე და აქვს იმის გარანტია, რომ ფეხბურთელი შეინარჩუნებს კარგ სპორტულ ფორმას მთელი საკონტრაქტო ვადის განმავლობაში. წინათ, როგორც წესი, სეზონის დასაწყისში 10-12 ფეხბურთელისთვის გაცემული თანხა, მეტწილად დოლარები, საკმაოდ დიდ ციფრს აღწევდა, შემდეგ კი მთელი სეზონის განმავლობაში კლუბის ბიუჯეტი სასტიკ დეფიციტს განიცდიდა, ეტაპობრივი გაცემა კი კლუბს სულის მოთქმის საშუალებას აძლევს. ეს არც ფეხბურთელისათვის არის ური-

წუხანდლამდე ევროპული თასები რვაჯერ მხოლოდ მადრიდის „რეალს“ ჰქონდა მოპოვებული. წუხელ უბოროტესი შინაური მტრის საგარეო რეკორდი ესპანეთის მეორე გუნდმა, „ბარსელონამ“ გაიმეორა. კატალონიის დედაქალაქის გუნდი მეოთხედ დაეუფლა თასების მფლობელთა თასს. ახლა მის ჯადოსნურ ზარდახშაში ერთი ჩემპიონთა, სამი უეფას და ოთხიც თასების თასია.

— „ბარსელონა“ ძალიან ძლიერი გუნდია, საუცხოოდ უტევს. ჩვენ კი პარადოქსის წინაშე ვართ, შარშან თასს ვფლობდით, წლეულს ისევ ფინალში ვართ, მაგრამ ფავორიტად მაინც მეტოქე ითვლება. — თქვა მატჩის წინ „პარი სენ ჟერმენის“ ბრაზილიელმა კაპიტანმა რაიმ.

წაგებულთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ როტერდამის „ფეიენოორდის“ სტადიონზე, თავისი და მეტოქის 50 ათასი გულშემატკივრის გუგუნში, ფავორიტს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და დროის მოზრდილ მონაკვეთებში უპირატესობასაც ფლობდა. გოლი კი... გოლი მათ კარში გავიდა, 38-ე წუთზე პენალტით. კარგად დაბალანსებულმა პარიზულმა გუნდმა რამდენიმე წამით დაარღვია დაცვიდან შეტევაზე გადასვლის და მწყობრად უკან დაბრუნების სისტემა, მეტოქეს კონტრშეტევისთვის ოდნავი შესაძლებლობა მისცა და „ბარსელონამ“, როგორც უმაღლესი კლასის გუნდს შეჰფერის, შანსი ხელიდან არ გაუშვა. ლუის ენრიკემ საჯარიმოში რონალდოს მიაწოდა, ზესწრაფმა ბრაზილიელმა კი ბურთი გაიგდო და ვარდნით წასულ ნგოტის სარმის გამოსადებად თავისი ფეხბილა დაუტოვა. პენალტი თავად რონალდომ, კარის შუაში დაარტყა, ლამა კი გადახტა და გაუშვა.

პირველ ნახევარში იყო კიდევ ერთი



ბობი რობსონი სიხარულით ცას ეწია

გოლი, ისაც ფრანგთა კარში შეგდებული, კუთხურიდან, კოუტუს ულამაზესი თაურით, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. მანამდე მსაჯმა ასევე რატომღაც ოფსაიდად ჩათვალა რაის პასით ლოკოს მეკარესთან პირისპირ გასვლა. ფორვარდმა მის ფეხთ ჩაწოლილი მეკარე მოატყუა, მაგრამ სასტვენის გამო დაუცველ კარში აღარ დაარტყა.

ლოკოს მეორე ტაიმშიც ჰქონდა ჩინებული შესაძლებლობა. კვლავ საჯარიმოს მარჯვენა ნაწილში იხელთა მომენტი და შორეული კუთხისკენ დაარტყა, მაგრამ თითქოსდა უეჭველად კარში მიმავალი ბურთი ძელმა უკუაგდო, იქ კი ჯერ კუემ, ხოლო შემდეგ ლეონარდომ, რაღაც მანქანებით ვერგატანა მოახერხეს. ძელი ძელის წილო და თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე რონალდო-სტოიჩკოვ-ფიგუს კომბინაცია პორტუგალიელის ისეთი დარტყმით დამთავრდა, რომელიც ჯერ ხარიხას მოხვდა, შემდეგ კი ძელს.

პარიზელებს მაინც შეეძლოთ, უკანასკნელ წუთს გათანაბრება. დელი ვალდესმა თავით დაუგდო ლეონარდოს, მაგრამ მსოფლიოს ბრაზილიელმა ჩემპიონმა ვერც ამჯერად გაიხარა.

გაიხარა „ბარსელონას“ ინგლისელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა. გაიხარა საფინალო სასტვენის შემდეგ, ნაღდი, დიდი სიხარულით. ნეტავ ამბიციური და უკმაყოფილო კატალონიელები მაინც გააკრიტიკებენ?

კატალონიელთა ზეიმი როტერდამის „ფეიენოორდის“ სტადიონზე

წუხელ

ფეხბურთი. პოლონეთის თასის ნახევარფინალი

ლეგია (ვარშავა) — ოდრა (ვოძისლავი) 3:0
სტანეკი (18 პ), კუხარსკი (34), ჩიკერი (48)
გკს (კატოვიცე) — ვიძევი (ლოძი) 2:0
ბალა (3), კუჩი (41)

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი.

მესამე მატჩი
კანადა — შვედეთი 2:1
კანადა მსოფლიოს ჩემპიონია

დინამო 3:1 თსუ

თბილისი. ეროვნული სტადიონი
დინამო: გ. ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩხაიძე, ყიზილაშვილი (ხომერიკი 68), გივი კვარაცხელია (ალექსიძე 35), კერძევაძე (კიკნაძე 60), ანჩაბაძე, დემეტრაძე
თსუ: ბათიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, თელიაშვილი, კანკავა, ნ. მინდიაშვილი (ნიკურაძე 82), კობესაშვილი, ჩიგოშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი (გაგუა 79)
1:0 კერძევაძე (27), 2:0 ანჩაბაძე (77), 3:0 დემეტრაძე (82), 3:1 კობესაშვილი (90)
გაფრთხილება: დემეტრაძე
გაძევება: ბათიაშვილი

ჩიკაგო [illegible]
3-1

10. V. ატლანტა — ჩიკაგო 80:100
ქულები: მუტომბო 16 — ჯორდანი 21; პიპენი 17; კუკოჩი 16

11. V. ატლანტა — ჩიკაგო 80:89
ლაეტნერი 21 — ჯორდანი 27; პიპენი 26

მაიამი ჰიით (2) — ნიუ-იორკ ნიქს (3)
1-2

9. V. მაიამი — ნიუ-იორკი 88:84
ჰარდევეი 34; მურნინგი 24 — ჰიუსტონი 19

11. V. ნიუ-იორკი — მაიამი 77:73
იუინგი 25 — ლენარდი 22; ჰარდევეი 17

დასავლეთი კონფერენცია

იუტა ჯაზ (1) — ლოს-ანჯელეს ლეიკერზ (4)
3-1

10. V. ლეიკერზი — იუტა 95:110
შაკილ ონილი 34 — მელოუნი 42; რასელი 29

სიეტლ სუპერსონიქს (2) — ჰიუსტონ როკიტს (3) 1-3

[illegible]მ საჩემპიონო
[illegible]ჯაუდო სათავე

კაფელნიკოვს 26 მაისიდან
ნის ტიტულის დაცვა რომ მო
დათან შედის. არადა, წელს ი[illegible]ფელად მიპასუხე-
ლის თითი რომ მოიტეხა, სამ[illegible]აიხარულს, გაჩემ-
თვითმფრინავის მართვაც ი[illegible]გუნდის მოთამაშე
რეზზე დაბრუნებულმა ზედი[illegible]გრძნობდეს?

ჩემპიონობა — ჩვევად

ალექსიძის ურეალურესი მომენტი, მაგრამ ახალგაზრდას, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა. თუმცა ალექსიძემ თავისი მაინც გააკეთა: მეტოქის საჯარიმოს წინა ხაზიდან მწვავედ გაუგდო ხომერიკს, ამან თელიაშვილი მოატყუა და იმავე ადგილას ანჩაბაძეს დაუბრუნა, რომელმაც მოჭრილი დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. მატჩიც თითქოს დაწყნარდა, მაგრამ თურმე ყველაფერი წინ იყო. კიკნაძემ გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა დემეტრაძე, ბა-

ძეტად ორგანიზებული გამოვიდა. ყველა რგოლი ნორმალურად თამაშობდა, არც ბურთის გაგორება ეშლებოდათ და სწრაფ კონტრშეტევებსაც ხშირად ახორციელებდნენ. სტუდენტები მათი რექტორის — როინ მეტრეველის თამაშზე დასწრებამაც შეაგულიანა, ალბათ ამიტომაც იყო, ყველა ფეხბურთელი თავდაუზოგავად რომ ირჯებოდა და მეტოქეს არაფერში უდებდა ტოლს. მართალია, პირველ ტაიმში მცირე სათამაშო უპირატესობას „დინამო“ ფლობდა, მაგრამ საწყის 25 წუთში რაიმე ხეირიანი მომავალმა ჩემპიონმა ვერაფერი შექმნა. ორად-ორჯერ შეიქმნა ისეთი სიტუაცია, მომენტს რომ გავდა, თუმცა ანჩაბაძის სახიფათოდ დარტყმული ბათიაშვილმა აიღო, თელიაშვილმა კი ვარდნაში ისე უხერხულად მოიგერია ბურთი, ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა. სულ ეს იყო, მასპინძლებს მეტად აღარ შეუწუხებიათ მეტოქის დაცვა იმ შეტევის გარდა, როცა კვარაცხელიამ გონივრულად გაიტყუა მცველი, ყიზილაშვილმა კერძევაძეს მიაწოდა ორთაშუა ბურთი, ამან კი, თითქოს ჩაწოდებას აპირებსო, მეკარე დააბნია და ახლო კუთხეში დარტყმით ანგარიში გახსნა. ტაიმიც ასე დასრულდა. შესვენების შემდეგ თსუ შესამჩნევად გააქტიურდა, ხშირად სტუდენტები მთელი გუნდითაც კი უტევდნენ. ერთხელ ისეთი მომენტიც კი შექმნეს, რომ ტრიბუნებზე მსხდომი თსუს გულშემატკივრები ნამდვილად აღშფოთდნენ. საქმე ის გახლდათ, რომ ქორიძის დარტყმული ჭანტურიამ ვერ დაიჭირა, იქვე მდგომმა კობესაშვილმა კი მეკარეზე ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ ცქიტიშვილს ხელზე მოხვდა თუ მკერდზე, ტრიბუნიდან ვერ გავარჩიეთ. ფაქტი კი ის იყო, რომ ფეხბურთელებიც და მაყურებლებიც პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მალაღურაძემ სხვაგვარად განსაჯა და კუთხურისკენ მიანიშნა. შემდეგ მელქაძის დარტყმული საჯარიმო ხარიხას გაეხახუნა და ბურთი კარს უკან გადავარდა, იმავე მელქაძის მიერ ორ წუთში შესრულებული ჯარიმაც მცირედით ასცდა კარს. თსუ-ს იერიშებს თითქოს გოლიც უნდა მოჰყოლოდა, როცა ყიფიანმა კერძევაძე კიკნაძით შეცვალა და დინამოელთა თამაშიც დალაგდა. სწორედ კიკნაძის პასს მოჰყვა „ჩელსიდან“ ახალდაბრუნებული

გახსენებდით, რადგან თსუ, ფაქტობრივად, უმეკარეოდ დარჩა. სიდამონიძე ტრავმირებულია, ბათიაშვილი კი მალაღურაძემ შეიწირა. ნიკურაძის ამარა დარჩენილი სტუდენტები კი მომავალ მატჩებს როგორ დაამთავრებენ, ღმერთმა უწყის.

მესამე გოლის შემდეგ სტუდენტები აშკარად გატყდნენ, თამაშიც მთავრდებოდა, როცა დინამოელთა პოზიციური შეცდომით მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ კობესაშვილმა ისარგებლა და ლამაზი გოლით თსუ მშრალად დამარცხებისგან იხსნა.

ნოდარ აკობია: წელს უფრო გაგვიადვილდა...

— წლევანდელი ჩემპიონობა შარშანდელზე მეტად გაგვიადვილდა, რადგან ყველაფერი რამდენიმე ტურით ადრე გადაწყდა. თუმცა, უბრძოლველად არ გაგვიმარჯვია. „ბათუმიც“, „კოლხეთიც“ და „მერანიც“ ღირსეულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მაგრამ ჩვენ მათზე ძლიერნი ვართ. ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა არც იმას ჰქონდა, ბათუმში გავიმარჯვებდით თუ არა — ჩემპიონი, ალბათ, მაინც „დინამო“ გახდებოდა.“

გიორგი ანჩაბაძე: ჯერ თასი, მერე მოლხენა

აწ უკვე ქვეყნის რვაგზის ჩემპიონებმა გამარჯვება ყოველგვარი ხვევნა-კოცნისა და საპატიო წრის გარეშე აღნიშნეს. ბუნებრივიც არის, „დინამოს“ ჩემპიონობა, აბა, ვის გააკვირვებდა. გიორგი ანჩაბაძეც ასეთი ჩვეულებრივი სიხარულით შეხვდა მოსალოდნელ მომხდარს.

— შარშანდლის შემდეგ „დინამო“ მნიშვნელოვნად შეიცვალა, წელს სრულიად ახალი გუნდი ჩამოყალიბდა. მთლად უპრობლემოდ არც ახლა გავმხდარვართ ჩემპიონები, მაგრამ წლევანდელ გამარჯვებას სხვა ფასი აქვს. შესაძლოა, უახლოეს მდევართან ქულებში მნიშვნელოვანმა განსხვავებამ ასეთი შთაბეჭდილება არ დატოვოს, თუმცა კონკურენტებთან და ბევრ სხვა გუნდთანაც ჩვენი შეხვედრების ანგარიშები სწორედ ამაზე მეტყველებს.

— როგორი შთაბეჭდილება დატოვა შენზე დღევანდელმა მეტოქემ?

— ჩემთვის სასიამოვნოც კი იყო, მათგან ნამდვილ წინააღმდეგობას რომ წავაწყდი. შეჩვეულები ვართ ხშირ გასეირნებებს და ისეთი მატჩები ისევ ჩვენთვის არის სასარგებლო.

[illegible] უნდა, არა. ეს, ალბათ, ქვეყანაში არსებული ვითარების გამოძახილიც არის. ამის დასტური თუნდაც ის არის, რომ ჩვენს ჩემპიონობას შესაფერისი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. ნორმალურ ქვეყანაში ჩემპიონობას სხვაგვარი სიხარული ახლავს.

— შარშან „ალანიასთან“ გამარჯვების შემდეგ სპარტაკელმა ტიხონოვმა გულახდილად თქვა, თვითმფრინავში ჩემპიონობის აღსანიშნავად იმდენს დავლევ, ტრაპზე სხვისი ჩასაყვანი ვიქნებიო. წელიწადში ერთხელ ჩემპიონებს ამის უფლება აქვთ. შენ, თუნდაც უფრო მსუბუქ ფორმაში, ტიხონოვის მიბაძვას არ აპირებ?

— ჯერ მაგისგან თავს შევიკავებ. წინ თასის ფინალია. თუ „ბათუმსაც“ მოვუგებთ, აღსანიშნი მაშინ გვექნება, მერე ცოტა მოლხენაც შეიძლება. თუმცა, დათრობით არც მაშინ დავთვრები.

ზაალ ცხვარაძე: კოლხეთს მალაღურაძისთვის ფული აქვს მიცემული

სტუდენტების პრეზიდენტი ზაალ ცხვარაძე მერაბ მალაღურაძის მსაჯობით აღშფოთებულიყო:

— ფოთის „კოლხეთს“ მალაღურაძისთვის ფული აქვს მიცემული. ამას პირდაპირ ვაცხადებ. მსგავსი რამ არასოდეს მითქვამს, მაგრამ... ფოთს ფული აქვს მიცემული მალაღურაძისთვის...

— ფული რაში უნდა მიეცათ?

— რაში? ჩემი მეკარე რომ გააგდო და ფოთმა რომ მომიგოს...

— წესით, უკანასკნელი იმედის ჯარიმაზე მსაჯმა წითელი უნდა ამოიღოს, დემეტრაძე კი მეკარესთან პირისპირ იყო...

— ბათიაშვილი საჯარიმოში იყო, ეს ერთი, მეორეც, არ იყო ეს მომენტი წითლის მისაცემი... აი, მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ფოთსა აქვს ფული მიცემული მალაღურაძისთვის და იმიტომ გამიგდო მეკარე. იცის, მეკარე არა მყავს. სიდამონიძე დამტვრეულია, ტრავმა აქვს და უმეკარეოდ დამტოვა... აქ კომენტარი უკვე ზედმეტია... აქ მიდის თამაში...

— თქვენი აზრით, სხვაც ხომ არ არის ამაში ჩარეული?

— შეიძლება სხვა გუნდიც იყოს, არ ვიცი, მაგრამ, ფოთი რომ არის ამაში ჩარეული, ამას მე პირდაპირ ვაცხადებ.

ცხვარაძის აღშფოთება გასაგებიცაა და გაუგებარიც, რადგან თსუ „კოლხეთამდე“ „მარგვეთს“ ხვდება. ფოთელებამდე კი ბათიაშვილიც დაუბრუნდება.

...და იყო ბრძოლა

ტორპედო 3:2 ბათუმი

ქუთაისი. სტადიონი „გივი კილაძე“
ტორპედო: კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ჯინჭარაძე, მარლიშვილი (ქებაძე 67), კვეტენაძე, შენგელია (სადღიანი 80), კ. მეტრეველი, აშვეთია (ი. ხუჯაძე 88), ვაჩიბერაძე
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ქიქვეიშვილი 46), მინდაძე, სიქინავა, შველიძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, კანტიძე, შანიძე, ა. მუჯირი
1:0 მეტრეველი (8), 1:1 სიქინავა (18), 2:1, 3:1 აშვეთია (25, 47), 3:2 თორლაშვილი (80)
გაფრთხილება: მ. მახარაძე
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

ამბობენ, ჩემპიონატის ბოლოსკენ მოპოვებული ყოველი ქულა ორმაგად ფასობსო, მაგრამ გათამაშების ცხრილს თუ გადავხედავთ, იოლად შევნიშნავთ, რომ ეს გამონათქვამი ახლა ყველაზე ვერ გავრცელდება. თუნდაც „ტორპედოზე“, რომელსაც აღარც წინ წაწევის იმედი დარჩა და მეხუთე ადგილსაც, არა მგონია, ვინმე შეეცილოს. „ბათუმის“ მდგომარეობა კი სულ სხვაა. ერთი-ორი წაფორხილება და ადვილი შესაძლებელია, აქამდე ნაჯაფი ერთიანად წყალში ჩაეყაროს. ყველაზე მეტად სწორედ მაგისა გვეშინიაო, გვითხრა თამაშის დაწყებამდე ბათუმელთა მწვრთნელმა იური მამინაშვილმა. თან დასძინა, იღბალი არ გინდა, ტულუში და უჯმაჯურიძე მაინცდამაინც ახლა დაგვისნეულდნენო.

თავიდანვე ვიტყვი, რომ მატჩი დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და სანახაობრივადაც მეტად საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა თავიდანვე ლაღად შეუტიეს ვერცხლის პრეტენდენტს და რამდენიმე წუთში დაწინაურდნენ კიდეც. ხვადაგიანმა კონტრშეტევა ჩაშალა და ძლიერი დარტყმით ბურთი სტუმართა ნახევარზე გადაიტანა, იგი მარლიშვილს მიუვიდა, მანაც მარჯვნივ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი მეტრეველი შენიშნა და პასიც არ დაუყოვნა, მეტრეველმაც იმარჯვა და ტოგონიძესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა. ოთხი წუთის შემდეგ ღლონტს მიეცა ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი, მაგრამ 7-8 მეტრიდან ააცილა მიზანს. და მაინც, საპასუხო გოლი მალე გავიდა. კანტიძემ მარცხენა ფლანგზე შენგელია ჩამოიტოვა და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ბურთთან ყველაზე ადრე სიქინავა გაჩნდა, რომლის უძლიერესი დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა და მერე ბადეში გაეხვა. აქედან მოყოლებული, ტაიმის ბოლომდე უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, განსაკუთრებით აშვეთია აქტიურობდა. მისი დაჭერა ბათუმელ მცველებს აშკარად უძნელდებოდათ. მიხომ ერთხელ ძელს მოარტყა ბურთი, მაგრამ მერე კი დასაჯა სტუმრები. შენგელიამ მარჯვნიდან საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩააწოდა, ბათუმელები ბურთს ვერ მისწვდნენ, მათ უკან კი აშვეთია იყო ჩასაფრებული და ნახტომში თავურით ეფექტური გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მატჩი წუთით შეწყდა. სტადიონზე მოსულებმა დუმილით პატივი მიაგეს მოულოდნელად გარდაცვლილი ფეხბურთელის, წარსულში ჭიათურის „მაღაროელის“, თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და წყალტუბოს „სამგურალის“ მცველის დიმიტრი გოგოლაძის ხსოვნას. ბურთი თამაშში შევიდა თუ არა, ვაჩიბერაძემ მარცხენა ფლანგზე გრძელი რეიდი საჯარიმოში ჩაწოდებით დაასრულა. იქ ისევ აშვეთიამ იმარჯვა, მცველს საჰაერო ბრძოლა მოუგო და კიდევ უფრო დააწინაურა „ტორპედო“. 55-ე და 72-ე წუთებზე მუხლმოუღლელ აშვეთიას კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ პირველად, ისევ ვაჩიბერაძის გადაცემის შემდეგ, ოდნავ ააცილა ბურთი ხარიხას, მეორედ კი, ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ, ძელს გაარტყა.

ბოლო წუთებში ბათუმელებმა იერიშებით გართული მასპინძლები რამდენჯერმე კონტრშეტევაზე დაიჭირეს. ერთ მათგანს თავდამსხმელი ჭიჭვეიშვილი მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით აგვირგვინებდა, ბურთი კართან ახლოს მდგომ თორლაშვილს მოხვდა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. თამაში მთავრდებოდა, როდესაც მუჯირმა მესამე ბურთის გაქვითვის, კვეტენაძემ კი მეოთხის გატანის უნაღდესი შანსი ვერ გამოიყენეს.

დილა გადარჩა

დილა 2:0 გორდა

გორი. ცენტრალური სტადიონი
დილა: ვოლკოვი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი 54), ჯ. გაგნიძე, ტაბატაძე (თარხნიშვილი 79), ჯ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, რევაზიშვილი (ფხალაძე 54), კაიდარაშვილი, გ. გვაზავა
გორდა: მ. ქორიძე, ფაცურია, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მ. მელაძე, კედელაშვილი, კალუჟა, თ. მეტრეველი, კაციტაძე
1:0 კაიდარაშვილი (39), 2:0 გვაზავა (85)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

მამუკა კვანტალიანი გორიდან

ამ თამაშზე ჯერ კიდევ თბილისში ამბობდნენ, ჩაწყობილიაო. ჩვენი ჩემპიონატის ფინიშზე გარიგებული თამაშები ისე მომრავლდა, რომ ტყუილ-მართალი ძნელი გასარჩევი გაგვიხდა. გორში ჩასულს აყოლილი ეჭვი ადგილობრივი გულშემატკივრების ნაჩურჩულევმა უფრო გამიძლიერა, „დილა“ „გორდას“ დაუწვებაო. მატჩის დასაწყისმა ხომ ცეცხლს მთლად ნავთი გადაასხა. პირველი 30 წუთი გორელები უილაჯოდ ირჯებოდნენ, ბურთს მოიგდებდნენ თუ არა, მაშინვე მაღალი ჩაწოდებით საჯარიმოში ჰკიდებდნენ. სტუმრებმა დაცვის საქმე თავიდანვეააწყვეს და მასპინძელთა შეტევებს იოლად უმკლავდებოდნენ. მოკლედ, თავი მორიგი ფარსის მოწმე მეგონა, თუმცა იმასაც ვეჭვობდი, თავად გასაჭირში მყოფმა „დილამ“ თითქმის წყალწაღებულ სტუმარს რა და რატომ უნდა გაატანოს-მეთქი. ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ნაფიქრალი ამიცხადდა. არა, „გორდას“ ურიგოდ ნაღდად არ უთამაშია. ის კი არა, გორელებს ვოლკოვის ოსტატობა რომ არ შეშველებოდათ, რუსთაველები იხეირებდნენ კიდეც. საწყისი წუთების შემდეგ სტუმრებმა რომ ნახეს, მასპინძლები თამაშის იშტაზე ვერ არიანო, შეუტიეს და კალუჟას აქტიურობის მერე ჯერ კედელაშვილის დარტყმული მოიგერია გოლკიპერმა, მერე სახვაძისას დაუხვდა ყოჩაღად. სტუმრებმა ისევ შეუტიეს და... უწყინარ სიტუაციაში შეცდნენ: „გორდას“ მორიგი შეტევა მასპინძელმა ხაჭაპურიძემ მოედნის ცენტრში ჩაჭრა და ბურთი რევაზიშვილს გაატანა. გიორგიმ გზად ორი მცველი ჩამოიტოვა და მარჯვნივ მარეხაშვილი მოძებნა, ამის ჩაკიდებულს კი კაიდარაშვილმა ისეთი თავური დაჰკრა, ორი მეკარე ვერ აუვიდოდა. გორელებმა გაიხარეს და ტაიმიც მათი გამარჯვებით მორჩა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა პოზიციები შეგნებულად დათმეს და კონტრიერიშები არჩიეს. სტუმრებმა, სხვა რა დარჩენოდათ, თავგამოდებით შეუტიეს, თუმცა „დილამ“ უფრო მეტი საგოლე მომენტი შექმნა. ერთ ეპიზოდში ანგარიშის გაზრდას წინ არაფერი აღუდგებოდა, მაგრამ ქორიძემ სასწაული ჩაიდინა. გვაზავა სამ მცველს დაუსხლტა და წკრიალაშვილს მიაწოდა, ამან აზრიანად გაატარა ბურთი და მჭედლიშვილმა ყუმბარისებურად დაარტყა. სასწაულებრივი რეაქცია, ლამაზი ნახტომი და მოგერიებული ბურთი კაიდარაშვილს მისდის, ამანაც დაარტყა, წაქცეული მეკარე კი მეორედაც ახერხებს გადახტომას და თავისიანების გადარჩენას. საპირისპირო შეტევას კალუჟა ლამის გოლით ამთავრებს, მაგრამ ვოლკოვი ბურთს ნახტომში აქვავებს. „დილამ“ თამაშის მიწურულს მაინც გაიტანა. გვაზავა და ჯამბულ გაგნიძე ქორიძესთან პირისპირ გასხლტნენ, მცველმა ნაღდი ამჯობინა, ბურთი თავდამსხმელს მიუგორა და მანაც ცარიელ კარში გაიტანა.

შელიას ახალი მწვრთნელი

ამასწინათ გაუწყეთ, მურთაზ შელია „ალანიაში“ დაბრუნდა. მას სწორედ ამის თაობაზე გავესაუბრეთ.

— მე და გაზაევმა ცხელ გულზე ვუთხარით ერთმანეთს სათქმელი, მაგრამ გავიდა დრო და ვლადიკავკაზიდან ზარები არ წყდებოდა, გუნდში დაბრუნებას მთხოვდნენ. მეც ჩასვლა და საქმის იქ გარკვევა ვამჯობინე. შესარიგებლად გაზაევმა ეს მითხრა, ჩათვალე, რომ ახალი მთავარი მწვრთნელი გაიცანი და ძველი წყენაც დაივიწყეო. ისიც აღიარა, ყველა ადამიანი ცდება და მეც ასე დამემართა შენთანო. კაცი რომ ამას გეტყვის, ხომ არ გაჯიუტდები?! წყენამაც გადამიარა და „ალანიაში“ დარჩენა ვამჯობინე. ისე, კაცმა რომ თქვას, კონტრაქტი ორ თვეში მიმთავრდება და მანამდე მხოლოდ ვარჯიშით ფორმას ვერ შევინარჩუნებ. ყველაფერი გავითვალისწინე და ისევ „ალანიაში“ დაბრუნება და თამაში ვამჯობინე. ჩემთვის ასე აჯობებს.

— 10 მაისს „ფაკელთან“ რატომ არ ითამაშე?

— ფეხი მაწუხებდა და გაზაევს ვთხოვე, დავესვენებინე. სჯობს, საბოლოოდ მოვირჩინო. 17 მაისს კი, ალბათ, მოვმჯობინდები და ვითამაშებ.

— ჩვენებურებმა ითამაშეს?

— ძირითადში მხოლოდ გახოკიძემ, თანაც ძალიან კარგად. მართალია, 2:0 მოვიგეთ და გოგას გოლი არ გაუტანია, მაგრამ საუკეთესო მოთამაშის პრიზი მან დაიმსახურა. საერთოდ, გოგამ ბოლო დროს ძლიერ მოუმატა. გაზაევი ძირითადში უკვე თამამად აყენებს და ისიც იმედს უმართლებს. თამაშის ბოლოს გახოკიძე შეცვალა ახალმომჯობინებულმა კობიაშვილმა, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას.

— „უემბლის“ შემდეგ თქვი, პრემიერლიგის რამდენიმე კლუბისგან მიწვევა მაქვსო, თუმცა არ დაგიკონკრეტებია, ვისგან...

— არც ახლა ვიტყვი. სანამ წინასწარი მოლაპარაკებები არ დამთავრდება და ყველაფერი არ გაირკვევა, მანამდე მიჯობს ამ თემაზე არ ვისაუბროთ. ერთს კი გეტყვი — ჩემით საკმაოდ ძლიერი გუნდები არიან დაინტერესებულნი. ახლა ჩემი მენეჯერი ინგლისშია შესაძლო კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად. ვიტყვი იმასაც, რომ ბრიტანეთში წასვლით [illegible]

— ინგლისელთა გარდა, სხვა ქვეყნების კლუბები ხომ არ შეგხმიანებიან?

— არა, ჯერ მხოლოდ ინგლისელები არიან დაინტერესებულნი.

— ბოლოს ისევ ინგლისთან შეხვედრაზე დავუბრუნდეთ. მრავალ სახელიან თავდამსხმელთან გითამაშია, მათ ახლა შორერიც დაემატა. ის ყველაზე ძლიერია?

— რა თქმა უნდა, ძლიერი მოთამაშეა, მაგრამ კლინსმანს მაინც ვერ გაუტოლდება. გერმანელი ყველა სახეობით და თითქმის მოუხელთებელი თავდამსხმელია. შორერთან თამაში გაცილებით გამიადვილდა. ყველაზე სუსტი კი განთქმული ლივერპულელი კოლიმორი გამოდგა. დღემდე ვერ გავიგე, რატომ გადაიხადეს მასში 8 მილიონი გირვანქა. კლინსმანის [illegible] არ ჩანს.

მერაბ მამულაშვილი

ნაკრებს ჩინეთში იწვევენ

საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა რეზო ძოძუაშვილმა გვაცნობა, რომ ჩვენი ნაკრები ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირზე მიუწვევიათ. „ვიცი, რომ გამგზავრების შემთხვევაში ორ შეხვედრას ჩავატარებთ. ტურნირი 17-20 ივნისს არის დაგეგმილი. დაზუსტებით ჯერ არ ვიცით, რომელ ქალაქში მოეწყობა ეს ტურნირი და ვინ იქნებიან შეხვედრების სხვა მონაწილეები.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი ცხადაძე

ცხადაძე ფრანკფურტში დაბრუნდა

რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“ თამაშის დროს ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანს, კახა ცხადაძეს, ერთხელ კიდევ გაუმიზეზდა ტრავმა და სერიოზული მკურნალობა გადაწყვიტა. იგი ოპერაციას საჭიროებდა. ცხადაძეს მუხლის შიგა ნაწილი, კვირისთავი, ჰქონდა დაზიანებული. თავიდან იმასაც ეჭვობდა, ძველმა ტრავმამ ხომ არ შემახსენა თავიო. მაშინ ჯვარედინი იოგების გაწყვეტამ ფეხბურთს შეიდი თვით ჩამოაშორა. რადგან ვლადიკავკაზში ოპერაციის შემდგომ აუცილებელ აღდგენით კურსს სრულყოფილად ვერ ატარებენ, კახამ გერმანიაში გამგზავრება ამჯობინა. მით უფრო, რომ ფრანკფურტში კარგი დასტაქარი ეგულებოდა, რომელმაც მისი ძველი ტრავმა განკურნა. 5 მაისს კახამ ოპერაცია გაიკეთა და ამჟამად აღდგენითი კურსების დასრულებას ელოდება. თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება, მეუღლესთან ერთად შაბათს, 17 მაისს, ვლადიკავკაზში ჩაფრინდება და მალე მსუბუქ ვარჯიშებსაც შეუდგება. თვის ბოლოს კი, წესით, მოედანსაც უნდა დაუბრუნდეს.

იმედია, ბათუმში მოლდოვასთან შეხვედრას ჩვენი კაპიტანი სრულად მომჯობინებული და ფორმააღდგენილი შეხვდება.

გაბისკირია ნიჟნიში?

ბერძნებისგან მოტყუებულ „ცხუმის“ ყოფილ თავდამსხმელს იური გაბისკირიას ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის“ მიწვევა რომ გაახსენდა, გვიანღა იყო — საბერძნეთიდან იმ დროს დაბრუნდა, როცა რუსეთის ჩემპიონატის მონაწილეებს მოთამაშეთა განაცხადები უკვე წარედგინათ. თუმცა, ამის მიუხედავად, ნიჟნელთა ქართველმა პრეზიდენტმა შარაძემ გაბისკირიასთან კონტრაქტი არ გაწყვიტა, სულ ახლახან კვლავ შეეხმიანა და 20 მაისს ნიჟნი ნოვგოროდში ჩასვლა და კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკება შესთავაზა. თავად იურის, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ჰქონია „ლოკომოტივში“ გადასვლა. ამჟამად გაბისკირია ფორმის შესანარჩუნებლად დონეცკში ვარჯიშობს, სადაც დროებით ყოფილ თანაგუნდელ ჩიხრაძესთან დაბინავდა.

ჩიხრაძემ ითამაშა

თითქოს აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ ფაქტია: შარშანდელი დეკემბრის შემდეგ დონეცკის „შახტიორის“ თავკაცთან ვალერი იარემჩენკოსთან უთანხმოების გამო საქართველოს ნაკრების მცველს გიორგი ჩიხრაძეს უკრაინის ჩემპიონატში აღარ უთამაშია. მაგრამ 10 მაისს, კიევის „დინამოსთან“ პრინციპულ მატჩში მცველთა თამაშით უკმაყოფილო მწვრთნელი იძულებული გახდა ჩიხრაძე მეორე ტაიმში მოედანზე შეეყვანა. მიხეილ ფოცხვერია კი, ტრადიციულად, პირველივე წუთებიდან დააყენა. დონეცკელებმა კოვალიოვის გოლით ანგარიში გახსნეს, მაგრამ ლობანოვსკის შეგირდებთან მაინც დამარცხდნენ — 1:3.

კიკნაძე ისვენებს

უკვე ორი ტურია, „მარგვეთი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე თამაშობს. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი ნოდარ კიკნაძის მიერ დაწერილი განცხადება ყოფილა — „მარგვეთის“ დამრიგებელი უფასო შვებულებაში გასულა.

ნანავა-ხურცილავას ალიანსი გრძელდება

ევროტურნირების საგზურის ერთ-ერთი მაძიებლისთვის მეორე წრის სტარტი ხიროსიმას მაგვარი იყო. ჯერ „სიონმა“ დაჭრა „ოდიში“ სასიკვდილოდ და შემდეგ „ბათუმმა“ გამოთიშა თასისთვის ბრძოლას. წყალში ჩაცვივდა ამდენი შრომა, ხარჯი და ყველაფერი ერთი წლით მაინც გადაიდო.

ჩვენი გაცნობა „ოდიშის“ ახლადდანიშნულ პრეზიდენტ ვახტანგ ნანავასთან თებერვლის სუსხიან დღეებში მოხდა. სიმართლე გითხრათ, პირველი შთაბეჭდილება ნამდვილად რომ ამინდის შესაბამისი იყო. იგი ჯმუხ და ჩაკეტილ ადამიანად მომეჩვენა, რადგან დაჟინებულ თხოვნაზე ინტერვიუს შესახებ პასუხად არასასურველი — „ჯერ ადრეა“ ან „სხვა დროს იყოსო“ — მესმოდა. გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ ნანავა ფრიად სასიამოვნო მოსაუბრე და გულღია ადამიანი ყოფილა. ბუნებისგან არც „მეექვსე გრძნობას“ — იუმორსაა მოკლებული. ნანატრი თანხმობა „ექსკლიუზივზე“, სპეციალურად „სარბიელის“ მკითხველთათვის, ფრიად სერიოზულად იყო ნათქვამი, მაგრამ ცხოვრების ორომტრიალმა ინტერვიუ მაინც შეაგვიანა. ბოლოს და ბოლოს უცხოეთიდან უსიხარულო დღევანდელობაში დაბრუნებულმა მოულოდნელად თვითონვე შემახსენა პირობა და გუნდისთვის ესოდენ მძიმე ჟამს თავისი ოპტიმიზმითაც გამაკვირვა. არასრული 7 წლის მანძილზე ვახტანგ ნანავა „ოდიშის“ მეთერთმეტე პრეზიდენტია. იქნებ მის ხელში შეძლოს კლუბმა სანატრელი მიზნის მიღწევა.

— დიდი ხნით ჩამოხვედით მშობლიურ კუთხეში?

— მხოლოდ ორიოდ კვირით.

— აქედან გამომდინარე, თქვენ ვერ მიეკუთვნებით „სტაციონალურ პრეზიდენტთა“ რიცხვს...

— კარგია ეს თუ ცუდი, ასეა. თუმცა, ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ უჩემობა გუნდს არ დაეტყოს.

— ეტყობა, გამოგდით კიდეც, რადგან, როგორც „ოდიშის“ გულშემატკივრები ხუმრობენ, შედეგს თუ არ გავითვალისწინებთ, მიღებული კალორიების ხარისხით და რაოდენობით გუნდი ლიდერთა შორისაა.

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის, თუმც ის საკმაოდ ცხარედაა შეკაზმული.

— ალბათ ძნელია, უხელმძღვანელო გუნდს „იქიდან“. ხომ არ აპირებთ თქვენი ბიზნესის სამშობლოში გადმოტანას?

— არათუ ვაპირებ, უკვე რეალურად ვმუშაობ კიდეც ამ საკითხზე. როცა ეს მოხდება, გუნდის შენახვაც უფრო გამიიოლდება.

— თუ საიდუმლო არაა, ბიზნესის რომელ სფეროში მოღვაწეობთ?

— საიდუმლო ნამდვილად არ არის, მაგრამ მეშინია, წინასწარი ლაპარაკით არ დავთარსო საქმე.

— თქვენ წარმატებული ბიზნესმენი ბრძანდებით, ცხოვრობთ საზღვარგარეთ, თითქოსდა მეტი რაღაა საჭირო ბედნიერებისთვის. მაგრამ არა, ფეხბურთი, „ოდიში“ — ეს თქვენ ძალიან გჭირდებათ?

— ბევრჯერ მსმენია, თითქოს ასე ან უსაშველო იდეალისტები იქცევიან, ანაც ფულის იოლად მშოვნელნი. მერწმუნეთ, მე საკმაოდ ნორმალური ადამიანი ვარ. არც მემკვიდრეობით მიმიღია ქონება. უბრალოდ, ცხოვრებაში იოლ გზებს არ ვეძებდი. ყველაფერს ვაღწევდი ჩემი შრომით და ნიჭით. მომიტევეთ ბანალურობა, მაგრამ ფეხბურთში ჩემი კაპიტალის დაბანდების მიზეზი ჩემი ქალაქის, კუთხის, „ოდიშის“ და საერთოდ ფეხბურთის უდიდესი სიყვარულია.

— მხოლოდ ამიტომ მოკიდეთ გუნდს ხელი?

— არა მარტო. ვგრძნობ, რომ შემიძლია გამოვადგე მშობლიურ ფეხბურთს, „ოდიშს“, ტრაბახად ნუ მიიღებთ და, დილეტანტი ამ საქმეში ნამდვილად არა ვარ.

— არაერთი ზუგდიდელი ასევე წარმატებით მოღვაწეობს სამშობლოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ რატომღაც უკან მოხედვას არ ჩქარობენ.

— საქმე მთლად ასე როდია. მერწმუნეთ, ყველა ჩვენგანი გრძნობს მიწის ყივილს და ადრე თუ გვიან დაუბრუნდება მშობლიურ ჭერს. უბრალოდ, ადრინდელი რთული პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაციის გამო ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

— მიწის ყივილი, მშობლიური ჭერი, ყველაფერი ეს ლამაზად ჟღერს, მაგრამ თქვენ ხომ ამასთანავე ბიზნესმენი ხართ?

— განა ერთი მეორეს ხელს უშლის?

— მაგრამ რისკი?! ჩვენში ხომ ფეხბურთი ჯერ არ ითვლება საიმედო ბიზნესად?

— აქ არც მეტი რისკია, ვიდრე სხვა ნებისმიერ საქმეში, თუ ამ საქმეში ერკვევი. თანაც სამშობლოში დაბანდებული ფული გერჩივნოს უცხოეთისას.

— კარგით, დამარწმუნეთ, რომ თქვენი ბაგენი ჭეშმარიტებას ღაღადებენ, მაგრამ „ოდიშის“ დღევანდელ მდგომარეობას სახარბიელოს ნამდვილად ვერ უწოდებ. გუნდმა წააგო სეზონი...

— სამწუხაროა, მაგრამ ეს არ არის სამყაროს დასასრული. ვერ მოვხვდით ევროტურნირებზე — მერე რა? აბა, შარშან ვინ იფიქრებდა ამაზე, რომ არა ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკოსი ბეჟან გუნავა, რომელმაც სალათას ძილიდან გამოაფხიზლა „ოდიში“ და ძლიერი გუნდის შექმნის იდეით დაავადა არა მარტო გულშემატკივრები, არამედ ხელისუფალნიც კი.

— მაგრამ შედეგი?

— გამოცდილებაც ხომ უდიდესი შენაძენია. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ არ ცდებოდე, მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არ მოქმედებს, არ რისკავს.

— კი მაგრამ, ხარჯები, პასუხისმგებლობა?

— სუპერკლუბი „მილანი“ მოყვარულმა „რუსენბორგმა“ მშობლიურ „სანსიროზე“ გაანადგურა. ანალოგიური მაგალითი უამრავია. ეს ხომ ფეხბურთია და მასში პრიზები და კვარცხლბეკები მაძიებლებზე გაცილებით ნაკლებია. ასე რომ, კიდევ იქნება დღესასწაული „სანსიროზეც“ და ჩვენს ქუჩაზეც. ხოლო პასუხისმგებლობას ჩვენ არ ვიხსნით. მაგრამ ვინ და როგორ დაისჯება, ეს უკვე კლუბის შინაური საქმეა. ახლა მარცხისგან სწორი დასკვნების გამოტანაა საჭირო.

— ესე იგი, „ოდიში“ გაისადაც იბრძოლებს საფეხბურთო ელიტაში დასამკვიდრებლად?

— საერთო ჯამში ასე იქნება, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, ნაწილობრივ შეიცვალა ოლიმპის დაპყრობის განრიგი და ვადები. გეზი აღებულია გუნდის საფუძვლიანად მომზადებაზე, რისი აუცილებელი პირობაც ადგილობრივ კადრებზე დაყრდნობაა. მით უმეტეს, რომ ჩვენი რეგიონი ტალანტების ნამდვილი კლონდაიკია.

— ?!

— არა, ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, მოვიწვევთ, მაგრამ არა „ბრმად“. მოვიწვევთ მას, ვინც გაცილებით ძლიერია ადგილობრივებზე. ამასთან, გავითვალისწინებთ მოწვეულთა პიროვნულ თვისებებსაც.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ იმ ლეგიონერებით, რომლებიც აქამდე გუნდის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ?

— ეს უკვე მწვრთნელის პრეროგატივაა. მე კი დავძენ, რომ ყველა ლეგიონერი ვერ დაიკვეხნიდა პროფესიონალიზმს. ვგულისხმობ საქმისადმი დამოკიდებულებას და პასუხისმგებლობის გრძნობას.

— გუნდის გაძლიერების ამგვარი პოლიტიკა ხომ დიდ დროს მოითხოვს... დაახლოებით ორ-სამ წელიწადს...

— მოთმინება მეყოფა. გულშემატკივრებმაც სოლიდარობა გამოგვიცხადეს. ისე, ჩვენს პირობებში შეიძლება სასწრაფოდაც შექმნა გუნდი, რომელიც უმალ გავა ევროტურნირებზე, მაგრამ უფრო დასანანი და ზარალიანი არ იქნება, ეს გუნდი პირველივე წრეში მალტის ან მაკედონიის კლუბმა რომ დაამარცხოს?! ისეთმა, რომელიც ბარმენებით, მეხანძრეებით ან მეთევზეებით არის დაკომპლექტებული. ნუთუ ზესტაფონელთა, სამტრედიელთა, ფოთელთა მაგალითი საკმარისი არაა.

— დროის გარდა, ამას სოლიდური თანხა სჭირდება. ერთია, როცა სწრაფად ქმნი გუნდს და მეორეა, როცა ეს ხდება მეთოდურად, საფუძვლიანად. თქვენი თქმით, ეს ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს გაცილებით მეტ თანხას, თანაც ისე, რომ დივიდენდები იგვიანებენ. ხართ კი ამისთვის მატერიალურად მზად?

— რა თქმა უნდა. ეს იდეა ხომ ჩემგან მოდის, და თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ორ-სამ წელიწადში „ოდიში“ იქნება ძლიერი, ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომელსაც დიდი მიზნებისთვის ბრძოლა შეეძლება. ჩემი მუშაობის ორიენტირია სახელგანთქმული „აიაქსი“, სადაც ესოდენ სწორად და ნაყოფიერად მუშაობს კლუბის ყველა რგოლი. ამიტომაც, ის არის არამარტო მსოფლიო ფეხბურთის ტალანტებით მთავარი მომმარაგებელი, თანაც ელიტარული ტალანტებით, არამედ თავადაც მუდმივად რჩება ელიტარულ კლუბად. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი დადებითი გადმოვნერგო ამ კლუბის საქმიანობიდან.

— ჩვენში საკუთარი მატერიალური სიმყარის ესოდენ აშკარა აღიარება იშვიათია, მაგრამ ამას გარდა საჭიროა ხელისუფლების მხარდაჭერაც.

— ზუგდიდი ყოველთვის ცნობილი იყო, ერთი მხრივ, გულშემატკივართა ფანატიკური მხარდაჭერით, მეორე მხრივ, ხელისუფალთა სრული ინდიფერენტულობით. ეს იყო რაღაც აუხსნელი, ზუგდიდური ფენომენი. გუნდის მოვლაც ერთი-ორი ენთუზიასტის ხარჯზე ხდებოდა ხოლმე, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მე ნაყოფიერი ნიადაგი დამხვდა სამუშაოდ. ჩემმა წინამორბედმა ბეჟან გუნავამ ფეხბურთით დაავადა ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები, პოლიტიკური პარტიები, დირექტორთა და მეწარმეთა საბჭო, ბანკები. შეხედეთ თუნდაც ჩვენ სამთავრობო ლოჟას და თავად დარწმუნდებით ამაში. ასეთი მემკვიდრეობა, შეიძლება მხოლოდ ინატრო. ქალაქის მხრიდან, მამების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია იმ მრავალი ბიუროკრატიული ბარიერის დაძლევა, რომლებიც ხელს უშლიან ბიზნესის განვითარებას. სწორედ ამაში გამოიხატება მთავარი დახმარება ჩემს მიმართ ხელისუფლების მხრიდან, რაც საშუალებას მაძლევს მეტი თანხა მოვახმარო მშობლიურ გუნდს. „ოდიშმა“ კი დივიდენდები უნდა გამოიმუშაოს და ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი უნდა გახდეს. ეს არის ჩემი მიზანი. ამისთვის მივედი გუნდში.

— თქვენ ჩამოხვედით სერიოზული მიზნებით და დიდი ხნით. ამასთან დაკავშირებით გვაინტერესებს თქვენი მუშაობის პრინციპები, სიახლეები.

— იმის გარდა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, სიახლეები შეეხება ყველა რგოლს. კერძოდ, ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთს, „ოდიშის“ ფარმ-კლუბს, კლუბის დაფინანსებას, მოთამაშეთა მატერიალურ სტიმულირებას, საკონტრაქტო პოლიტიკას და სოციალურ სფეროს.

— უფრო კონკრეტულად...

— ყველა ასაკოვანი მოთამაშე, თუ მოისურვებს, ჩვენს მიერ კლუბის ბიზნესის სისტემაში დასაქმდება. ის მოთამაშეები, ვინც ჩვენ არ გამოგვადგება, რამდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთს აირჩევენ.

— თუ მოთამაშემ თავად იპოვა „თავისი“ გუნდი?

— კლუბის წინაშე დავალიანება თუ არ აქვს, თუნდაც მისი ვარიანტი ჩვენთვის ნაკლებად ხელსაყრელი იყოს, ხელს მაინც არ შევუშლით. აი, მაგალითად, ფანცულაიამ მოისურვა უკრაინის ერთ-ერთ გუნდში თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მისთვის სხვა ვარიანტი გაგვაჩნდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— ხმები დაირხა, თითქოს უარყოფდეთ საკონტრაქტო თანხებს და არა მარტო ამას...

— კიდევ რას?

— მოგებისთვის დაწესებულ პრემიებს...

— არა, საკონტრაქტო თანხებს გადავიხდით, ოღონდ არა ისე, როგორც წინათ, მოსვლისთანავე. თანხას გავცემთ ნაწილობრივ, ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად, როგორც შევთანხმდებით, თანაც საბანკო გარანტიებით. ამ შემთხვევაში იგებს სამი მხარე — ბანკი, რომელსაც საბრუნავი თანხა აქვს, მოთამაშე, რომელიც აუცილებლად მიიღებს, უფრო სწორად, გამოიმუშავებს თავის საკონტრაქტო თანხას, და კლუბიც, რომელიც აღარ იქნება დამოკიდებული „ვარსკვლავის“ კაპრიზებზე და აქვს იმის გარანტია, რომ ფეხბურთელი შეინარჩუნებს კარგ სპორტულ ფორმას მთელი საკონტრაქტო ვადის განმავლობაში. წინათ, როგორც წესი, სეზონის დასაწყისში 10-12 ფეხბურთელისთვის გაცემული თანხა, მეტწილად დოლარები, საკმაოდ დიდ ციფრს აღწევდა, შემდეგ კი მთელი სეზონის განმავლობაში კლუბის ბიუჯეტი სასტიკ დეფიციტს განიცდიდა, ეტაპობრივი გაცემა კი კლუბს სულის მოთქმის საშუალებას აძლევს. ეს არც ფეხბურთელისათვის არის ურიგო — ერთბაშად აღებული დოლარების ნებისმიერი ოდენობა მალე ეხარჯებოდა და ისიც იძულებული იყო, „ჩაემთავრებინა“ საკონტრაქტო ვადა. ამჯერად კი მოთამაშე ნელ-ნელა იღებს კუთვნილ თანხას, იცავს რეჟიმს, იხარჯება ყველა თამაშზე, რათა არ შეუმცირდეს შემოსავალი. ახლა რაც შეეხება მოგებისთვის დაწესებულ პრემიებს. საგანგებოდ მოგებისთვის განკუთვნილი პრემიები აღარ იქნება, იქნება მხოლოდ პრემიები კონკრეტულად დაკავებული ადგილისთვის პირველობაში და სათასო ეტაპზე გასვლისათვის. თუმცა, არ არის გამორიცხული, „ზეგეგმიური“ პრემიები რომელიმე პრინციპულ მატჩში გამარჯვებისთვის. იმის გამო, რომ პრემიალურები გაიშვიათდება, ფეხბურთელებს მოემატებათ ყოველთვიური ხელფასი, ყველას ინდივიდუალურად, ვის და რამდენი. ამ საკითხში გადამწყვეტი სიტყვა მთავარ მწვრთნელს ეკუთვნის.

ვახტანგ ნანავა

— საბანკო გარანტიებზე ბრძანეთ. დღეს ეს ჩვენში, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს.

— დიახ, და ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, რაც ზუსტად იქნება დაფიქსირებული კონტრაქტში. ფეხბურთელს შეუძლია მშვიდად იყოს — ის თავისას უსიკვდილოდ მიიღებს. შეიცვლება თვით კონტრაქტიც, როგორც საბუთი — ის უფრო მრავლისმომცველი იქნება, მასში დაფიქსირებული იქნება ყველა შესაძლო ვარიანტი. ეს იქნება სერიოზული იურიდიული საბუთი, რომელიც ყველას თავის გარანტიას მიაგებს. ამ სიახლეებს წელსვე, ივლისიდან დავნერგავთ.

— ესე იგი, მომავალი სეზონიდან...

— დიახ, მომავალი სეზონიდან, რომლისთვის მზადება ჩვენ, ფაქტობრივად, ბათუმელებთან პირველივე სათასო მატჩის შემდეგ დავიწყეთ. გუნდში ახლა ძირითადად 16-19 წლის ბიჭები თამაშობენ, ისინი ჯერ გამოუცდელნი, მაგრამ ნიჭიერნი და ძალზე მონდომებულნი არიან და მალე იტყვიან თავისას. მთავარია, დრო და ცოტა მოთმინება.

— თქვენ ხვალინდელი „ოდიშის“ პროდიუსერი და სცენარისტი ბრძანდებით, ძირითადი მუშა-გადამღები ჯგუფიც გარკვეულია. იქ შეკრებილია ძველი და გამოცდილი „გუნდი“. ვინ იქნება, ვთქვათ ასე, დამდგმელი-რეჟისორი? ცნობილია, რომ სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა გასდის მთავარ მწვრთნელს მურთაზ ხურცილავას.

— ხურცილავასთან ჩვენ საქმიანობაზე უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებს. ეს შესანიშნავი სპეციალისტი სულით-ხორცამდე ოდიშელია და მისი დაყოლიება ადვილია, მითუმეტეს, რომ პირობებიც კარგია. თანაც, ხურცილავა ზუგდიდში მეტ „დისკომფორტს“ აიტანს, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქალაქში.

— მაშ, „ალიანსი“ — ნანავა-ხურცილავა გრძელდება?

— სრული ჭეშმარიტებაა.

რომან გაგისონია

„სარბიელისა“ პირველივე ნომრიდან მჯერა

მითხრა CROCO-სა და ბრიტანული ფირმა TRAVEL CLUB INTERNATIONAL-ის კონკურსის მთავარი პრიზის მფლობელმა ფრიდონ ლონლაძემ. მანამდე კი...

ფრიდონ ლონლაძე ესპანეთში მიდის

სასტუმრო „საქართველოში“ მდებარე TCI-ს ოფისში ის ადამიანები შეიკრიბნენ, რომელთაც კონკურსის სამივე კითხვას სწორად უპასუხეს და ინგლის — საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების მატჩების ანგარიშებიც გამოიცნეს. აქვე იყო ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისურის მფლობელი, თხუთმეტი წლის შორენა სეფაშვილი. მან ყველაზე მეტი — 110 ვარიანტი ითამაშა. შორენას ძალიან ჰყვარებია ფეხბურთი და ეროვნული გუნდის მერე იტალიელებს ქომაგობს.

შორენა სეფაშვილმა ინგლისის ნაკრების მაისური მიიღო

კონკურსის ორგანიზატორებმა, არც ერთს გული რომ არ დასწყვეტოდა, მთავარ პრიზთან, ესპანეთის კურორტ კოსტა დელ სოლში ერთკვირიან დასვენებასა და უფასო მგზავრობასთან ერთად, კიდევ ორი პრიზი — დელ სოლში უფასო დასვენება გზის ხარჯის გარეშე და სანუგეშო, ას ლარიანი ჯილდოც დააწესეს. საგზურები და ფული ერთნაირ, თეთრი ფერის კონვერტებში მოათავსეს.

კომპანიის მენეჯერმა ენტონი მაკმანუსმა თავისი და CROCO-ს თავკაცის კახა ბობოხიძის სახელით დამსწრეთ ლატარიაში მონაწილეობისა და იქ მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა. შემდეგ იმ მაგიდასთან მივიდა, რომელთანაც ბაქარ ჭეიშვილი, ფრიდონ ლონლაძე და ზურაბ კაჯირაშვილი ისხდნენ და კონვერტები გაუწოდა. სიჩუმე ჩამოვარდა, ვერცერთი ბედავდა პირველობას. მცირე პაუზის შემდეგ ლონლაძემ თქვა — „შუაში ვზივარ და შუას ავიღებ“ და კონვერტს ხელი წაატანა. შემდეგი კაჯირაშვილი იყო, რომელსაც მხოლოდ 5 ვარიანტი შეუვსია, მაგრამ „ფინალში“ კი მოხვედრილა. შედარებისთვის: ლონლაძეს 77 ვარიანტი უთამაშია, ხოლო ინგლისელის ხელში ეულად დარჩენილი კონვერტის მფლობელ ჭეიშვილს — 100.

პირველი პრიზი, როგორც ზემოთ ვთქვი, ფრიდონ ლონლაძეს ერგო, ესპანეთში დასვენების უფლება ქუთაისელმა ბაქარ ჭეიშვილმა მოიპოვა, ოღონდ მგზავრობის ხარჯებს თავად გაიღებს. შოთა რუსთაველის გამოსახულებიანი ასლარიანი კი ზურაბ კაჯირაშვილს ხვდა

„არც კი ვიცი, რა გითხრათ, უზომო სიხარულს განვიცდი, შორეულ საზღვარგარეთ, თანაც ასეთ ფეშენებელურ კურორტზე, პირველად მიწევს დასვენება. ესპანეთში სექტემბერში წავალ, ეს დრო წინასწარ მქონდა დაგეგმილი, მჯეროდა, რომ გავიმარჯვებდი. ვისაც წავიყვან, ისიც ვიცი, ოღონდ ეს საიდუმლოა.

ლატარიებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „სარბიელისა“ პირველივე ნომრიდან მჯერა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი სამართლიანად და მიუკერძოებლად იქნებოდა. კონკურსის ორგანიზატორების მიმართ კი მადლობის მეტი რა მეთქმის,“ — თქვა ბოლოს ბატონმა ფრიდონმა.

ერეკლე ძიძილაშვილი
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით 21 მაისისთვის დანიშნული, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სლოვაკეთი — ჩეხეთი, გადაიდო. მიზეზი ისაა, რომ ჩეხთა ორი ფეხბურთელი, რადოსლავ ლატალი და ირჟი ნემეცი იმ დღეს, მილანში, უეფას თასის საპასუხო ფინალურ შეხვედრას თამაშობენ. ისინი გერმანული „შალკეს“ წევრები არიან. რომელმაც შინ, პირველ მატჩში, „ინტერი“ 1:0 დაამარცხა. შესარჩევი შეხვედრის გადადება უეფასთვის სწორედ „შალკეს“ უთხოვია, ფიფას კი თანხმობა განუცხადებია, ოღონდ ჩეხეთის და სლოვაკეთის ფედერაციებისთვის ახალი თარიღის შერჩევა დაუვალებია. სლოვაკეთის წარმომადგენლის განცხადებით, წესითა და რიგით, ლატალი და ნემეცი კლუბს ნაკრებისთვის უნდა დაეთმო, მატჩის ჩატარება კი ადრე დანიშნულ დროს იყო სავალდებულო, მაგრამ ვინაიდან საქმე ასე მოექცა, ახალ თარიღად მისი ქვეყანა აგვისტოს ასახელებს. ჩეხთა აზრი სხვაა, მათ სლოვაკებთან თამაში 29 მაისს აწყობთ.

არგენტინელმა ალფრედო დი სტეფანომ, რომელმაც თავის დროზე არგენტინის ნაკრებშიც ითამაშა და ესპანეთისაშიაც, მადრიდის „რეალთან“ ერთად კი ხუთჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი, ამ შეჯიბრების განახლებული დებულება გააკრიტიკა მისი თქმით იმას, რომ ახალი სეზონიდან გათამაშებაში თავთავიანთი ქვეყნის ჩემპიონთა გარდა, რვა მეორე ადგილზე გასულიც მიიღებს მონაწილეობას, სპორტულ პრინციპთან არაფერი აქვს საერთო. ეს უფრო ძლიერთა ინტერესების გამომხატველია. გარდა ამისა, 70 წლის დი სტეფანომ აღნიშნა, რომ ჩემპიონთა თასის ახლანდელი სისტემის მიხედვით მავან გუნდს შეუძლია რომელიმე მეტოქესთან სტუმრად და შინ წააგოს, მაგრამ მაინც გახდეს პრიზის მფლობელი. „შეჯიბრების გემო ის იყო, რომ თავდადებული გუნდი მყისიერად გადიოდა შემდეგ ეტაპზე, დამარცხებულს კი შანსი არ რჩებოდა“ — თქვა ყოფილმა ვარსკვლავმა.

ინგლისის „ასტონ ვილამ“ მიაღწია იმას, რასაც სეზონის განმავლობაში ორჯერ ვერ ეღირსა. — მან „ლივერპულისგან“ 7 მილიონ გირვანქად შეიძინა სტენ კოლიმორი. ამგვარად, 26 წლის თავდამსხმელის კარიერის ჯამური ფასი 17,7 მილიონ გირვანქას გაუტოლდა. შევახსენებთ, რომ მისი წინა ტრანსფერი „ნოტინგემ ფორესტიდან“ „ლივერპულში“, ინგლისისთვის იმხანად სარეკორდო იყო და 8,5 მილიონ გირვანქას უდრიდა. როგორც ხედავთ 17,7 მილიონის დაგროვებაში ძირითადი წილი სწორედ ბოლო ორი გადასვლისაა. „ასტონ ვილასთან“ კოლიმორის კონტრაქტი ოთხწლიანია. თავად ფეხბურთელის თქმით იგი ბავშვობაში სწორედ „ვილას“ ქომაგობდა და ახლა, ამ გუნდში მოხვედრით ბედნიერია. მას სწამს, რომ მისი და დუაიტ იორკის დუეტი ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც „ლივერპულში“ მისი და ფაულერისა იყო. „მწამს „ვილას“ ქომაგები ჩემს საუკეთესო თამაშებს ნახავენ და ეს ინგლისის ნაკრებში ფეხის მყარად მოკიდებაშიც დამეხმარება“ — თქვა ფეხბურთელმა. გუნდის მწვრთნელმა ბრაიან ლიტლმა კი განაცხადა: „ორი სეზონია მეექვსე ადგილზე ქვევით არ ჩავსულვართ, სექტემბრიდან სტენიც გაგვაძლიერებს და უფრო დიდ მიზნებს დავისახავთ. მისი რეპუტაციის მიუხედავად იმედი მაქვს, რომ მასაც ისევე დავუმეგობრდები, როგორც სხვა მოთამაშეებს. კოლიმორი თავდაუზოგავი კაცია და ეჭვი არაა საქმეს კარგად ავაწყობთ“.

ფეხბურთის რუკასთან

ესპანეთში, რეგიონალური ლიგის გუნდების „სანტა კრუზისა“ და „ლოვიოს“ შეხვედრაში მსაჯს მიგელ დელ რიოს, ფეხბურთელს რომ აფრთხილებდა, მკლავში ტყვია მოხვდა. მატჩს სულ 50 გულშემატკივარი ესწრებოდა. პოლიციამ ცხადია გამოძიება წამოიწყო. „მოედანი ტყეს ესაზღვრება და მჯერა, ტყვია იქედან გამოვარდა. შეუძლებელია ეს შემთხვევით მომხდარიყო“ — თქვა არბიტრმა.

კენიის ფეხბურთის ფედერაციამ გერმანელ მწვრთნელს რაინჰარდ ფაბიშს ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ძველი ხელშეკრულება ერთწლიანი იყო და მას ვადა ივნისში გაუდის. ახლა, კენიის ეროვნული გუნდი, რომლის საშუალო ასაკი 23 წელია, 7 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ნიგერიასთან სათამაშოდ ემზადება და საამისოდ სამკვირიან საწვრთნელ შეკრებას გერმანიაში გადის. აღსანიშნავია, რომ ფაბიში კენიაში 1987 წელსაც მუშაობდა.

ირლანდიის ნაკრების წევრი, „მანჩესტერ სიტის“ ყოფილი მოთამაშე, ახლა კი სანდერლენდელი ნილ ქუინი 21 მაისს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს, ლიხტენშტაინთან ვეღარ ითამაშებს. ამის მიზეზი მისი ტრავმაა, არადა ქუინი ბოლო ხანს ნაკრებს მიღმა იყო და ხელახალი გამოძახებით ფრიად გახარებული გახლდათ.

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სვენსონმა დაასახელა იმ ფეხბურთელა ვინაობა, რომლებიც 22 მაისს, საქართველოს ეროვნული გუნდის მომავალ მეტოქესთან, პოლონეთთან სათამაშოდ მოემზადებიან: მეკარეები: მაგნუს ჰელმანი (აიკი), ტომას რაველი (გიოტებორგი); მცველები: პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია), იოაჰიმ ბიორკლუნდი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), კრისტიან კარლსონი (მალმიო), პონტუს კამარკი (ლესტერ სიტი, ინგლისი), გარი სუნდგრენი (აიკი); ნახევარმცველები: იესპერ ბლომკვისტი (მილანი, იტალია), ჰაკან მილდი (სოსიედადი, ესპანეთი), იონას ტერნი (რომა, იტალია), პეტერ ვიბრანი (ჰელსინგბორგი), პაერ ზეტერბერგი (ანდერლეხტი, ბელგია); თავდამსხმელები: ანდრეას ანდერსონი (გიოტებორგი), კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), მარტინ დალინი (მიონხენგლადბახი, გერმანია), იურგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი, გერმანია).

ინგლისის „ლიდს იუნაიტედმა“ ნახევარ მილიონ გირვანქად გაუფორმა კონტრაქტი შოტლანდიის ნაკრების მცველს დეივიდ რობერტსონს, რომელსაც „გლაზგო რეინჯერსთან“ ხელშეკრულება გაუვიდა. რობერტსონის შეძენა სურდათ იტალიურ „პერუჯას“ და „ტორინოსაც“, მაგრამ მოთამაშემ პრემიერლიგა ირჩია. „ლიდსის“ თავკაცმა ჯორჯ გრეჰემმა ახალი შენაძენი ასე დაახასიათა: „ის საერთაშორისო დონეზე გამოცდილი, მეტად სწრაფია და შეტევაში ჩართვა უყვარს“. აღსანიშნავია, რომ რობერტსონის აყვანა ერთგვარი ხიფათია აქამდე მის პოზიციაზე მოთამაშე ტონი დორიგოსთვის, რომელზეც გრეჰემმა თქვა, ნეტავ ჩვენთან დარჩებოდეს, რადგან არ მინდა მაგ ამპლუის მხოლოდ ერთი მოთამაშე მყავდესო.

ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, „ბარსელონაში“ მოთამაშე რონალდომ განაცხადა იტალიური „ლაციოს“ წინადადებაზე სერიოზულად ვფიქრობო. ეს ცნობა იტალიურმა გაზეთებმა გაავრცელეს, რომელთაც მკითხველს შეახსენეს, რომ რომაული კლუბის პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი 20 წლის რონალდოს შეძენით ფრიად დაინტერესებულია და მზადაა მასში 30 მილიონი დოლარი გადაიხადოს. როდესაც ფორვარდს ჰკითხეს 20 პროცენტიანი შანსი მაინც თუა თქვენი „ლაციოში“ გადასვლისაო, მან უპასუხა, 30-იც კი არისო. „მე პროფესიონალი ვარ და მხოლოდ ემოციებით არ ვხელმძღვანელობ. „ლაციოში“ წლიურად მილიონ დოლარს მპირდებიან. ეს კი სერიოზული თანხაა“ — თქვა მან. საგულისხმოა, რომ კრანიოტის რონალდო მხოლოდ ფეხბურთისთვის როდი სჭირდება, ბიზნესმენი რეკლამითაცაა დაინტერესებული. საქმე ის გახლავთ, რომ „ლაციოს“ პრეზიენტი სამხრეთ ამერიკაში ფრიად გავრცელებული კომპანიის, საკვებ პროდუქტთა მწარმოებელი, უმძლავრესი „ჩიროს“ მფლობელია.

კვიპროსის ჩემპიონი გახდა „ანორთოსის ფამაგუსტა“, რომელიც გაისად ჩემპიონთა თასზე ითამაშებს. ეროვნულ ჩემპიონატში გუნდმა 26 მოგება იზეიმა.

ინგლისის წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი, რომელმაც ბოლო ხუთ სეზონში გუნდი მეოთხედ გახადა ქვეყნის ჩემპიონი.

ესპანეთის პირველობის ბოლო ტურის ორშაბათის მატჩში „ვალენსიამ“ შინ 1:1 ითამაშა „დეპორტივოსთან“. ანგარიში გახსნა სტუმარმა რივალდომ, არგენტინელმა ორტეგამ კი პენალტით გაათანაბრა.

რუმინეთის დედაქალაქში ორი აუძინებელი მტრის, „სტიაუას“ და „დინამოს“ მატჩამდე რამდენიმე ხნით ადრე გულშემატკივრებმა სტადიონის სკამები დაამტვრიეს და ცეცხლი წაუკიდეს. ალი მოედო დასაჯდომ ადგილებს და გვარიანად დააზიანა. პოლიციამ შეძლო მაყურებელთა ევაკუაცია, ზოგიერთმა მათგანმა მცირე დაყუჟილობა და დამწვრობა მიიღო. სამართალდამცავებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი 30 ფანი დააკავეს.

ეჰ, ტაპი, ტაპი!

საფრანგეთის ყელა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, მარსელის „ოლიმპიკის“, 54 წლის ექსპრეზიდენტი, მულტიმილიონერი ბერნარ ტაპი, ვირის აბანოში რვათვიანი ყურყუტის შემდეგ ამ დღეებში სასამართლოს წინაშე წარდგება სხვადასხვა დანაშაულში, ძირითადად ფულის გაფლანგვასა და ფულად მაქინაციებში, მონაწილეობის ბრალდებით. თუ ბერნარს დანაშაულებები დაუმტკიცეს, ერთ დროს საფრანგეთის პრეზიდენტობისთვის მებრძოლი და ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი, ხუთი წლით ჩაჯდება ციხეში. აქამდე ტაპი საკუთარმა უგუნურმა მოქმედებამ მიიყვანა. თუმცა მანამდე... 80-იანი წლების მეორე ნახევარში ბერნარმა პოლიტიკური კარიერის გაკეთება მოიწადინა და შეგულებული მწვერვალების დასაპყრობად გზაზე ტრამპლინად საშუალო დონის კლუბი „ოლიმპიკი“ ირჩია. მდიდარმა ბიზნესმენმა ფული არ დაინანა და მალე „ოლიმპიკი“ ფრანგული ფეხბურთის მწვერვალზე მოექცა, საიდანაც ზედიზედ ხუთი წლის განმავლობაში არ ჩამოსულა და ქვეყნის რეკორდი დაამყარა. „ოლიმპიკმა“ არც ბებერ კონტინენტზე შეირცხვინა თავი და 1993-ში, 1991 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში მარცხის მერე, ჩემპიონთა ლიგის მეორე გათამაშება მოიგო და პირველი ფრანგული გუნდი შექმნა. სამიდან ერთ-ერთი ევროთასი რომ მოიგო. დიდ სიხარულს დიდი თავზარიც მოჰყვა. ჩემპიონთა ლიგის მოგებიდან რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა, რომ „ოლიმპიკმა“ ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი იყიდა. ჭორი მართალში აირია, რაც საკმარისი აღმოჩნდა, საქმეში სამართალდამცავნი რომ ჩარეულიყვნენ. საფუძვლიანი გამოძიების მერე „ოლიმპიკს“ უეფა-მ ევროპის სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლის შანსი მოუსპო, ქვეყნის ფედერაციამ კი კლუბი სულაც მეორე დივიზიონში მოისროლა და თან ტაპი ფეხბურთს განუსაზღვრელი დროით ჩამოაშორა. მას მერე გამოძიება არ შეწყვეტილა, დაიკითხნენ ყველა ეჭვმიტანილნი და ნელ-ნელა ზოგიერთი დანაშაული გაიხსნა, თუმცა, ყველა არა. საქმის გამოძიებისას ტაპის ჩვენებებში გამოჩნდნენ ისეთი პირები, როგორებიცაა მიშელ იდალგო, მიროსლავ ბლაჟევიჩი და მისი აგენტი ლუბომირ ბარინი, დრგან სტოიკოვიჩი, რაიმონდ გუტალსი და სხვები, მთლიანობაში 19 პირი.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ამ დღეებში გადაწყდა ტაპის ბედი, კაცის, რომელმაც ევროპას ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი აჩუქა და მანვე ერთი ხელის მოსმით მოსპო თავისივე პირმშო.

ლაშა გოდუაძე

კიდევ გაუტანს ქეცბაია იუვეს?

წელს იტალიის უტიტულოვანესი გუნდი, ტურინის „იუვენტუსი“, საუკუნოვან იუბილეს იზეიმებს. 1897 წლის 1 ნოემბერს დაარსებულმა გუნდმა ამ ხნის განმავლობაში სიტკბოებაც გამოსცადა და სიმწარეც. თუმცა, თანაქალაქელი „ტორინოსგან“ განსხვავებით, მე-100 წლისთავს უძლიერესი კლუბის რანგში ხვდება. გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში ძლიერმა ფეხბურთელმა, რობერტო ბეტეგამ, თქვა, იუბილესადმი მიძღვნილ მატჩს „ნიუკასლთან“ ვითამაშებთ, რადგან ჩვენსავით შავ-თეთრები ფეხბურთის სამშობლოდან არიანო. მოგეხსენებათ, ჩვენებური თემურ ქეცბაია 1 ივლისიდან „ნიუკასლის“ წევრი ხდება და არ არის გამორიცხული, „ბებერ ქალბატონს“ მესამედ ეთამაშოს და მეორედ შეარხიოს „იუვენტუსის“ კარის ბადე — ალბათ გახსოვთ, უეფა-ს თასის 1992-93 წლების გათამაშების პირველსავე წრეში, როცა თემური ჯერ კიდევ კვიპროსის „ანართოსისის“ ღირსებას იცავდა, ტურინში 1-6 წაგებული შეხვედრაში ქეცბაიამ ბრწყინვალე გოლი გაიტანა. იმავე ბეტეგას თქმით, მატჩი ჩეზენაში გაიმართება და ტურინელები ვარდისფერი მაისურებით ითამაშებენ — 1903 წლამდე „იუვენტუსის“ ფერი ვარდისფერი იყო, თუმცა, მერე იგი ყველასთვის ცნობილმა თეთრმა შავზოლიანმა მაისურმა შეცვალა. რობერტომ თქვა, „იუვენტუს“ — „ნიუკასლის“ მატჩის გარდა, ვგეგმავთ სხვადასხვა თაობის „იუვენტუსის“ გუნდების ამხანაგურ თამაშებსო. საუბრის ბოლოს კი ბეტეგამ განაცხადა, „იუვენტუსი“ იტალიის უტიტულოვანესი და ევროპის პირველი გუნდია, რომელმაც სამი საკლუბო თასი, კონტინენტის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო მოიგო და 100 წლის იუბილეს გვინდა, კვლავ სკუდეტოს და ჩემპიონთა თასის მფლობელებად შევხვდეთო.

შეძლებს პარმა?

დღეს იტალიაში მორიგი ტურია, რომელშიც სკუდეტოს მაძიებელი „პარმა“ „მილანს“ ეთამაშება. „იუვენტუსი“ „პიაჩენცას“ მასპინძლობს. „ბებერ ქალბატონს“ იოლი მატჩი არ ელის, რამეთუ მისი მეტოქე ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ცხადია ტურინში თავდაუზოგავად ითამაშებს, მაგრამ უფრო დიდი ომი პარმელებს გადახდებათ.

—ჩვენ ვარსკვლავებით სავსე გუნდი ვართ და ახლა დამარცხების უფლება არ გვაქვს— თქვა „პარმას“ ფრანგმა მცველმა ლილიან ტურამმა — ვალდებული ვართ „მილანს“ მოვუგოთ და კვირას, ტურინში რიხით ჩავიდეთ.

„მილანის“ წევრის, 37 წლის ფრანკო ბარეზის თქმით მის კლუბს უეფას თასზე მხოლოდ [illegible] თუ გაიყვანს. ბარეზის სერია A-ში 20 სეზონი აქვს გატარებული და ბუნებრივია იცის, რასაც ამბობს. „დღევანდელი ფეხბურთი ძალიან სწრაფია და [illegible] როდესაც ნელა თამაშობ [illegible], თუმცა ამ [illegible] არც ის ბედნიერება, რომ ჩვენ „მილანი“ ვართ. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია დარჩენილ შეხვედრებში ბოლომდე დაიხარჯოს. უმეტესად სწორედ თავდადება გვაკლდა წლეულს“ — თქვა ბარეზიმ, რომელზეც ამბობენ, სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერას დაასრულებს და მილანის გარეუბნის გუნდ „მონცას“ ჩაუდგება სათავეში. „მილანმა“ მესამე ლიგელი „მონცა“ ამასწინათ [illegible] გუნდად აქცია. „მე და მონცა?“ ამის შესახებ გაზეთებიდან შევიტყვე“ — იყო პასუხი.

სარბიელი

სპორტული ლატარია
“CROCO”

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXXII ტური

16 მაისი

ჰანზა — ბაიერნი	4,0	3,2	1,6
დიუსელდორფი — კარლსრუე	2,2	3,0	2,4

17 მაისი

მიონხენგლადბახი — ბოხუმი	1,8	2,9	3,4
ლევერკუზენი — ზანქტ პაული	1,05	6,5	12,0
0:1	1,3	3,2	5,0
დორტმუნდი — ვერდერი	1,5	3,1	5,0
მიუნხენი — შალკე	1,7	3,0	3,8
შტუტგარტი — დუისბურგი	1,2	4,4	7,5
ჰამბურგი — კიოლნი	1,7	2,9	4,0

18 მაისი

ფრაიბურგი — ბილეფელდი	3,0	3,0	1,9

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXX ტური

16 მაისი

ურდინგენი — კარლ ცაისი	1,7	2,9	4,0
ვოლფსბურგი — უნტერჰახინგი	1,7	2,7	4,4

17 მაისი

როტ ვაისი — ცვიკაუ	2,3	3,0	2,4
ოლდენბურგი — ფორტუნა	1,9	2,8	3,2

18 მაისი

კაიზერსლაუტერნი — ლიუბეკი	1,3	3,6	6,5
მაინცი — კიკერსი	1,7	2,9	4,0
ჰერტა — მეპენი	1,5	3,2	4,7
ლაიპციგი — აინტრახტი	1,7	2,9	4,0
გიუტერსლოჰ — მანჰაიმი	1,7	2,9	4,0

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVII ტური

17 მაისი

ნანტი — მონპელიე	1,3	3,4	7,0
ბასტია — ოსერი	2,0	2,8	3,0
რენი — გინგამი	1,5	3,1	5,0
ნიცა — მეცი	3,8	3,0	1,7
ლილი — ლე ავრი	1,5	3,1	5,0
ბორდო — ლიონი	1,6	2,9	4,7
მარსელი — პარი სენ ჟერმენი	2,9	2,9	2,0
სტრასბური — ლანსი	1,35	3,3	6,5
კაენი — კანი	1,5	3,1	5,0
ნანსი — მონაკო	2,3	3,0	2,4

ინგლისის ჩემპიონატი. თასის ფინალი

17 მაისი

ჩელსი — მიდლსბრო	1,8	2,9	3,4

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXXII ტური

18 მაისი

პიაჩენცა — კალიარი	1,9	2,8	3,2
ბოლონია — ვიჩენცა	1,7	2,9	4,0
იუვენტუსი — პარმა	1,7	2,9	4,0
მილანი — ლაციო	1,8	2,8	3,6
ნაპოლი — ფიორენტინა	1,8	2,8	3,6
რეჯანა — პერუჯა	2,3	3,0	2,4
რომა — ინტერი	1,9	2,8	3,2
სამპდორია — უდინეზე	1,8	2,7	3,8
ვერონა — ატალანტა	2,3	3,0	2,4

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXV ტური

18 მაისი

ემპოლი — ბრეშია	2,0	2,7	3,1
ფოჯა — ჯენოა	2,3	3,0	2,4
ლეჩე — დი სანგრო	1,3	3,4	7,0
ლუკეზე — ჩეზენა	1,8	2,8	3,6
პადოვა — კიევო	1,9	2,8	3,2
პალერმო — ბარი	2,4	3,0	2,3
რეჯინა — ტორინო	3,3	3,0	1,8
პესკარა — სალერნიტანა	1,5	3,1	5,0
რავენა — კოზენცა	1,4	3,3	5,6
ვენეცია — კრემონეზე	1,7	3,0	3,8

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXVIII ტური

18 მაისი

ესტრემადურა — ბილბაო	1,9	2,9	3,1
რეალი — ვალიადოლიდი	1,25	3,8	7,5
0:1	1,9	3,2	2,2
სელტა — ბარსელონა	4,0	3,2	1,6
დეპორტივო — სპორტინგი	1,35	3,4	6,0
0:1	2,0	3,2	2,0
ერკულესი — ვალენსია	2,3	3,0	2,4
ბეტისი — სევილია	1,7	3,2	3,4
რაიო — ლოგრონიესი	1,4	3,1	6,5
ოვიედო — კომპოსტელა	1,6	3,0	4,4
ესპანიოლი — ტენერიფე	1,8	2,9	3,4
რასინგი — სარაგოსა	1,8	2,9	3,4
სოსიედადი — ატლეტიკო	2,0	2,8	3,0

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXV ტური

18 მაისი

რეალი B — ვილიარეალი	1,8	3,0	3,3
სალამანკა — ატლეტიკო B	1,2	4,2	8,0
0:1	1,7	3,2	2,7
ბარსელონა B — ბადახოსი	3,4	3,2	1,7
ოსასუნა — მალიორკა	3,1	2,9	1,9
ესიხა — ალავესი	2,9	2,9	2,0
ლას პალმასი — ლევანტე	1,6	3,0	4,4
ორენსე — ეიბარი	2,9	2,9	2,0
ალბასეტე — ლეიდა	1,2	4,2	8,0
0:1	1,8	3,2	2,4
მერიდა — ტოლედო	1,2	4,2	8,0
0:1	1,7	3,2	2,7
ლეგანესი — ალმერია	1,8	3,0	3,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXXI ტური

18 მაისი

ბენფიკა — ლეცა	1,2	4,2	8,0
0:1	1,9	3,2	2,2
ბრაგა — მარიტიმუ	1,4	3,2	6,0
0:1	2,0	3,2	2,0
გიმარაეში — პორტუ	2,9	2,9	2,0
ჟილ ვისენტე — რიუ ავე	3,2	3,1	1,8
სეტუბალი — ფარენსე	1,7	3,0	3,8
ლეირია — ესპინიუ	1,8	3,0	3,3
შავეში — ბოავიშტა	2,1	2,8	2,8
სალგეირუში — სპორტინგი	2,4	2,6	2,4
ბელენენსეში — ამადორა	2,0	2,9	2,9

რუსეთის ჩემპიონატი. X ტური

17 მაისი

დინამო — ალანია	1,8	2,8	3,6
ლოკომოტივი — შინიკი	1,3	3,4	7,0
0:1	2,0	3,2	2,0
ბალტიკა — სპარტაკი	3,4	2,9	1,8
ნოვგოროდი — ჟემჩუჟინა	2,3	2,5	2,7
კრილია — ჩერნომორეცი	1,8	2,9	3,4
ზენიტი — კამაზი	1,3	3,4	7,0
0:1	2,0	3,2	2,0
როსტსელმაში — ტორპედო	2,0	2,9	2,9
ტიუმენი — ცსკა	2,9	2,9	2,0
ფაკელი — როტორი	3,3	3,0	1,8

ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXII ტური

16 მაისი

ნაიმეგენი — როდა	3,8	3,3	1,6

17 მაისი

ვიტესი — სიტარდი	1,3	3,4	7,0
0:1	1,8	3,2	2,4
პსვ — უტრეხტი	1,1	5,6	9,0
0:1	1,5	3,2	3,5
ტილბურგი — გრააფსხაპი	1,9	3,0	3,0
ბრედა — ვალვაიკი	1,2	4,4	7,5
0:1	2,0	3,2	2,0
ჰერენვენი — ვოლენდამი	1,2	4,2	8,0
0:1	2,0	3,2	2,0
ალკმაარი — გრონინგენი	1,9	3,0	3,0
აიაქსი — ტვენტე	1,6	3,0	4,4

19 მაისი

ფეიენოორდი — სპარტა	1,35	3,4	6,0

ბელგიის ჩემპიონატი. XXXIII ტური

18 მაისი

ანდერლეხტი — შარლერუა	1,15	4,7	9,0
0:1	1,8	3,2	2,4
ანტვერპენი — ბრიუგე	3,2	2,8	1,9
სერკლ — ეკერენი	2,9	2,9	2,0
გენტი — მოლენბეკი	1,8	2,9	3,4
ჰარელბეკე — სტანდარდი	2,3	2,6	2,6
ლიერსი — გენკი	1,1	5,6	9,0
0:1	1,7	3,2	2,7
ლომელი — აალსტი	1,4	3,3	5,6
მუსკრონი — მეხელენი	1,4	3,3	5,6
სტ. ტრიუდენი — ლოკერენი	1,7	3,1	3,6

შესარჩევი მატჩები.

18 მაისი

ესტონეთი — ლატვია	3,4	2,9	1,8

თურქეთის ჩემპიონატი. XXXIII ტური

16 მაისი

გენჩლერბირლიგი — ფენერბახჩე	6,5	3,6	1,3
ბეშიქთაში — ანთალიასფორი	1,1	5,6	9,0

17 მაისი

გალათასარაი — ანკარაგიუჯუ	1,15	4,7	9,0

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია (XXXII ტური)	25 და ნაკლები—1,9	27 და მეტი—1,9
საფრანგეთი (XXXVII ტური)	23 და ნაკლები—1,9	25 და მეტი—1,9
იტალია (XXXII ტური)	22 და ნაკლები—1,9	24 და მეტი—1,9
ესპანეთი (XXXVIII ტური)	29 და ნაკლები—1,9	31 და მეტი—1,9

CROCO-2

ტირაჟი №35

1. იუვენტუსი — პარმა
2. მილანი — ლაციო
3. ნაპოლი — ფიორენტინა
4. პიაჩენცა — კალიარი
5. რეჯინა — პერუჯა
6. რომა — ინტერი
7. სამპდორია — უდინეზე
8. ვერონა — ატალანტა

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება: თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

დღეს, 15 მაისს "CROCO" იმუშავებს

ნონა გაფრინდაშვილი: მსოფლიოს ჩემპიონის მედალი და ოლიმპიური ორდენი ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია!

„პირი ხომ არ შეკარით?! რამდენიმე გაზეთიდან ერთდროულად დამირეკეს ინტერვიუსთვის“ — მითხრა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა, ტელეფონით რომ შევეხმიანე. მეორე დღისთვის ვუთანხმდები შეხვედრაზე და მრავალი წლის მანძილზე პირველად ტელევიზიისთვის კი არა, გაზეთისთვის ვთხოვ ინტერვიუს.

სულ ბოლოს ქალბატონ ნონას 13 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან მისი წასვლის დღეს ვესაუბრე. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ბოლო თვეების ამბავი ვკითხე...

— ოლიმპიური კომიტეტიდან ჩემი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მსურდა იმ საქმეს დავბრუნებოდი, რითაც დავიწყე. მინდა, კვლავ აქტიური მოჭადრაკე ვიყო, იმ ტურნირებზე გამოვიდე, სადაც 7 წელია არ მითამაშია. იანვრიდან სერიოზულად ვმუშაობ და, მართალი გითხრათ, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. გაცილებით მშვიდად ვცხოვრობ, მეტ დროს ვუთმობ ოჯახს, შვილიშვილს და არც თუ ცუდად ვგრძნობ თავს!

რა თქმა უნდა, ვსაქმიანობ კიდეც — ანა მათნაძეს ვამეცადინებ. თუ გახსოვთ, ეს გოგონა 10 წლის მოჭადრაკეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი იყო, 12-წლიანებში კი პრიზიორი. ბოლო დროს თამარ ხმიადაშვილი ავარჯიშებდა და როცა ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, გოგონას მშობლებმა მე მომმართეს დახმარებისთვის.

ანა 14 წლისაა. ამ ასაკში სერიოზული მუშაობაა საჭირო ტექნიკის დასახვეწად და თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად, რაოდენ ნიჭიერიც უნდა იყოს მოჭადრაკე, პირადი მწვრთნელი მაინც სჭირდება.

იმ ოთხი თვის მანძილზე, რაც ანა ჩემთან მეცადინეობს, მის თამაშში სერიოზულ პროგრესს ვხედავ. ერთი თვის დაწყებული გვქონდა თანამშრომლობა, როცა სლოვენიაში, ბლედის საჭადრაკო ფესტივალზე წავედით. ანა თელაველია და კახეთში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დაგვაფინანსეს.

გოგონა B კატეგორიის საკმაოდ ძლიერ ტურნირში ვათამაშე და კმაყოფილი დავრჩი. ბოლო პარტია რომ არ წაეგო, მესამეზე უკეთეს ადგილსაც დაიკავებდა. სხვათა შორის, მის პარტიებს ბევრი დიდოსტატი ადევნებდა თვალს.

აპრილში, საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე ანა პრიზიორებში ვერ მოხვდა, საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი კი შეასრულა. თუმცა ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ გოგონა ხალისით თამაშობს, ნელ-ნელა ასწორებს ხარვეზებს და საკუთარი თავის რწმენა ემატება.

მეც სიამოვნებით ვმუშაობ ანასთან.

ბლედის ფესტივალზე დიდოსტატთა ტურნირში ვითამაშე. სერიოზულად არ მოვმზადებულვარ და გამაკვირვა კიდეც ჩემმა შედეგმა. ქალებში გავიმარჯვე, ვაჟებშიც უკეთესი შედეგი მექნებოდა, მეტოქეებზე წინასწარი ინფორმაცია რომ მქონოდა. რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ თამაში შემიძლია, შემართება და განწყობა საამისოდ საკმაო მაქვს.

— ასეთი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თქვენი გამოჩენა საჭადრაკო ფესტივალის მონაწილეთათვის მოულოდნელი ხომ არ იყო?

— მოულოდნელი უფრო ის იყო, რომ ამდენ ხანს არ ვჩანდი. ყველა ისე შემხვდა, თითქოს ეს პაუზა არც ყოფილა! როცა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიყავი, შვებულების ხარჯზე ზოგჯერ მაინც ვახერხებდი ტურნირებში თამაშს. იუგოსლავიის კლუბ „გოშას“ წევრი ვარ. ახლახან ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებაც მოვიპოვეთ. სამწუხაროდ, საქართველოს „მერანი“, შარშანდელი შეჯიბრების ერთ-ერთი გამარჯვებული, წელს ველარ მონაწილეობს ევროპის თასის გათამაშებაში.

ფინალური ტურნირი, რვა გუნდის მონაწილეობით, ზაფხულში გაიმართება და ეგებ „გოშას“ შემადგენლობაში ახლა მე მოვიპოვო ევროპის თასი. მით უმეტეს, რომ ჩემს კოლექციაში ეს ჯილდო ჯერ არ არის!

— ერთხელ თქვით, ზოგიერთ პრეტენდენტზე უკეთ საგანგებო მომზადების გარეშეც ვითამაშებო...

— მე ჭადრაკში დაბრუნებას იმას ვეძახი, სერიოზულ ტურნირებში ვითამაშო. თუ რაიმე პრეტენზია გაქვს, საზონათშორისო ტურნირი უნდა გაიარო. მძიმე უკვე პრეტენდენტთა ასპარეზობაა. იქ სულ სხვა დატვირთვა, სხვა ემოციებია.

თუ ბრძოლა ძველებური სისტემით გაგრძელდა — საზონათშორისო ტურნირი, პრეტენდენტთა ორწრიანი შეჯიბრება, მათი ფინალური მატჩი — შეიძლება ძალა და ენერგია არ მეყოს, შეიძლება გავუძლო კიდეც.

მაგრამ, თუ ახალი სისტემა შემოიღეს — გამოვარდნით — მაშინ ბრძოლა თავისუფლად შეიძლება. ვიმეორებ, საზონათშორისო ტურნირის გავლა არ მიმაჩნია რთულად. თუ ვითამაშე და ვერ მოვხვდი პრეტენდენტთა შორის, მაშინ აღარ შემძლებია ძველებურად ბრძოლა.

ყოველ შემთხვევაში, პესიმისტი არ ვარ!

— თქვენ გამარჯვებულის ფსიქოლოგია გაქვთ!

— დიახ. 30 წელზე მეტია ჭადრაკში ვსაქმიანობ და ამ ხნის მანძილზე, პროცენტულად რომ ვიანგარიშოთ, ჩემს მიერ წაგებული ტურნირების რაოდენობა ძალიან მცირეა. იმდენად შევისისხლხორცე ჭადრაკი, რომ არა აქვს მნიშვნელობა, რა ხასიათზე ვარ, ავად ვარ თუ კარგად, რამდენი წლის ვარ! საკმარისია, დაფას მივუჯდე და მხოლოდ მოსაგებად ვთამაშობ.

— და როცა აგებთ?

— ადამიანი მანქანა არ არის, ყველა აგებს. თუ მეტოქემ კარგად მომიგო, მაშინაც კი, თუ რიგიან ფორმაში ვარ, მარცხს ნორმალურად ვხვდები. მაგრამ, ძალიან განვიცდი, თუ კარგ პოზიციას ჩემივე შეცდომის გამო დავთმობ.

სიტუაციის ობიექტურად შეფასების უნარი მუდამ მქონდა და ეს ყოველთვის მშველოდა. ისიც, რომ მეტოქის შიში არა მაქვს. ვინც უნდა დამისვა დაფასთან, ყველას უშიშრად ვეთამაშებ!

— ქალბატონო ნონა, ატლანტის ოლიმპიური თამაშები ალბათ სასიამოვნო გასახსენებელი არ არის თქვენთვის. როცა ატლანტაში ელდარ კურტანიძემ, ჩვენმა ბოლო იმედმაც დაკარგა ოქროს მოპოვების შანსი, ნანა ალექსანდრიამ მითხრა, ნონა ასეთი დათრგუნული მაშინაც არ მახსოვს, მაიასთან მატჩი რომ წააგოო.

მართლა ასე იყო?!

— ნანას მართალი უთქვამს.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში ოლიმპიურმა კომიტეტმა იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე შესაძლებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური კომიტეტი უშუალოდ სპორტსმენთა მზადებაზე არ აგებდა პასუხს, სპორტის დეპარტამენტთან ერთად მაქსიმალურად ვცდილობდით მომავალი ოლიმპიელების დახმარებას.

და მაინც, ეს გაცილებით ცოტა იყო იმასთან შედარებით, რაც მთელს მსოფლიოში აქვთ უძლიერეს ათლეტებს. ასეთი რანგის შეჯიბრზე მედალი რომ მოიპოვო, ყველაფერთან ერთად მშვიდი ცხოვრება და დაწყნარებული ნერვები უნდა გქონდეს.

ყველაფრის მიუხედავად, ატლანტაში მაინც უკეთ უნდა გამოვსულიყავით. ელდარ კურტანიძე, ნინო სალუქვაძე, გიორგი ვაზაგაშვილი, დავით ხახალეიშვილი — ეს ოთხეული, განსაკუთრებით, უკეთეს ხვედრს იმსახურებდა.

მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ. ატლანტაში იმას კი არ ვდარდობდი — რას იტყოდნენ საქართველოში, რა რეაქცია ექნებოდათ, გული მწყდებოდა, რომ ოქროს მედლის გარეშე უნდა დავბრუნებულიყავით სამშობლოში.

კიდევ ერთზე მწყდება გული: იმ სპორტსმენებს, რომლებმაც ოლიმპიადაზე IV-VIII ადგილები დაიკავეს, მადლობაც ვერ ვუთხარით. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თამაშებზე პირველ რვა ადგილებზე გასულ სპორტსმენებს საგანგებო სიგელით აჯილდოებს. 197 ქვეყნის ათლეტებში თუნდაც მერვე ადგილი რომ დაიკავო, ეს არაფერია?!

მაგრამ იმ ტალღამ, რომ ატლანტაში ოქრო ვერ მოვიპოვეთ, სხვა ყველაფერი გადაფარა.

გახსოვთ, ატლანტის შემდეგ, ერევნის საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჩვენი ქალები ჩემპიონები გახდნენ, ვაჟებს კი VIII ადგილი ერგოთ და ქვეყნის პრეზიდენტიდან დაწყებული ყველამ მადლობა გადაუხადა ჩვენს ვაჟებს. იმსახურებდნენ კიდეც.

ამაში უპირველეს ყოვლისა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის დიდ დამსახურებას ვხედავ. ატლანტის ოლიმპიელებს რომ ასევე ვერ მოვექეცით, ჩემი, სეოკ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ბრალიცაა.

— ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ყოფნის წლებს როგორ იხსენებთ; მაინც რომელი ემოციები სჭარბობს...

— ჭადრაკს თავი სწორედ მაშინ დავანებე, როცა პრეზიდენტი გავხდი. იმდენი საქმე დამაწვა, ვილას ეცალა ჭადრაკისთვის. როცა კარდაკარ დავდიოდით ფულის საშოვნელად, ხშირად მიფიქრია — რა მინდოდა, რას მოვდიოდი ოლიმპიურ კომიტეტში-მეთქი. თუმცა, ისიც კარგად მესმოდა, რომ ჩემი ავტორიტეტის გამო მთხოვეს, პრეზიდენტი ვყოფილიყავი და მეც ვცდილობდი, ეს ფაქტორი გამომეყენებინა.

დავიწყეთ ნულიდან და მაშინ წავედი, როცა ოლიმპიური კომიტეტი მყარად დგას ფეხზე — ეს ფაქტი ძალიან მსიამოვნებს! წასვლის გადაწყვეტილება კი ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ კი არა, უფრო ადრე მივიღე.

ის, რომ ოლიმპიური მოძრაობის სამი სხვადასხვა ორდენით დამაჯილდოვეს, პირადად ჩემი კი არა, საერთოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობის აღიარებაა.

მე ორდენების დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ სეოკ-ის პრეზიდენტად ყოფნის წლები მარტო იმ განცდად ღირდა, როცა შევიტყვე, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი მომენიჭა.

შემიძლია გულწრფელად გითხრათ: მსოფლიოს ჩემპიონის მედალი და ეს ოლიმპიური ორდენი ერთნაირად ძვირფასია ჩემთვის!

უკვე მოვიდა ფაქსი შვეიცარიიდან. 3 სექტემბერს ლოზანაში მეპატიჟებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე. სწორედ იქ გადმომცემენ ორდენს.

— თუ გიფიქრიათ ნაკრებში დაბრუნება და საჭადრაკო ოლიმპიადაზე კვლავ თამაში?

— რატომაც არა! ნაკრებში ერთი ადგილი გათამაშდება და მე ვიბრძოლებ ამ ადგილისთვის. დიდი პატივია, როცა შენი ქვეყნის ღირსებას ოლიმპიადაზე იცავ. მე ბევრჯერ გამიმარჯვნია ამ ტურნირში და რადგან ჭადრაკს დავუბრუნდი, ახალგაზრდებს ჩემი სახით კონკურენტი ეყოლებათ. ეს მათთვისაც უკეთესია. ძველი დამსახურებისთვის არაფერს ვითხოვ. ჩემი ცხოვრების დევიზი მუდამ პატიოსანი თამაში იყო. მსოფლიოს ჩემპიონობის 16 წლის მანძილზე ერთხელაც არ გამომიყენებია ჩემპიონის უპირატესობა, მეტოქეთა ინტერესს მუდამ ვითვალისწინებდი.

მთავარი სპორტული პრინციპია. ყოველთვის ასე უნდა იყოს!

რითაც დავიწყე, იმით უნდა დავამთავრო. მაინტერესებს, სად გადის ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი. ორიოდ წლის წინ ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, ახლა ვეტერანთა ტურნირებში აღარ ვითამაშებ.

ახალგაზრდებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ჩემზე ძლიერები არიან და პირველი მე მივულოცავ მათ გამარჯვებას.

თამარ ბალავაძე

ჩვენმა ძველმა მეგობარმა, გერმანელმა ჟურნალისტმა ულრიხ ლოკემ, რომელიც 1994 წელს ფეხბურთელთა ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გვიგზავნიდა წერილებს, გერმანიის სპორტულ ჟურნალისტთა კავშირის პირველი პრემია მოიპოვა 1996 წლის 23 ივლისს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“ გამოქვეყნებული სტატიისთვის, დავით ხახალეიშვილის ატლანტის ოლიმპიადაზე ვერგამოსვლას რომ ეხებოდა.

სამოთხის ნაწილი

ქართველმა ძიუდოისტმა ხახალეიშვილმა გამარჯვება დაკარგა

ქართველებს ერთი ასეთი ლეგენდა აქვთ. როცა ღმერთმა მსოფლიოს შექმნა დაასრულა, ყველა ხალხი თავისთან მიიხმო, რათა მათთვის საცხოვრებელი ადგილი მიეჩინა. როცა ეს პროცედურა დაასრულა, მასთან მცირერიცხოვანი ერი მივიდა. ისინი ქართველები იყვნენ. ქეიფობდნენ და ამიტომაც დააგვიანეს, მაგრამ ქართველთა ენამჭევრობამ ისე მოხიბლა ღმერთი, რომ უთხრა მათ: „ოკეი, რადგანაც ადგილი აღარ არის, მე თქვენ სამოთხის ნაწილზე დაგასახლებთ“.

ამ ლეგენდის გავლენის გამო და საიმისოდ, რომ შეჯიბრზე არ დაეგვიანა, ქართველი ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი ატლანტის ოლიმპიური სოფლიდან ნაადრევად, დილის 7 საათზე გაემართა დარბაზში, სადაც უნდა ესპარეზა. რვა საათზე აწონვა იყო დანიშნული. აწონვის გარეშე კი ტატამზე ვერავინ გავა.

დარბაზში მისულ ხახალეიშვილს და მის მწვრთნელს იქ არავინ დახვდა, რამაც ისინი ძლიერ გააოცა. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ ხახალეიშვილი დარდმა შეიპყრო. 1992 წელს მან ბარსელონის ოლიმპიადაზე, მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა და ატლანტაში გამგზავრებამდე თავის ხუთი წლის ვაჟიშვილს დაპირდა, წარმატებას გავიმეორებო. სრულიად საქართველო ელოდა 36 სპორტსმენისგან შემდგარი დელეგაციის პირველ ოქროს მედალს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციასთან დაკავშირების შემდეგ გაირკვა, რომ აწონვა ჩვეულებისამებრ შეჯიბრის ადგილზე კი არა, ოლიმპიურ სოფელში იყო დანიშნული. ქართველ ფუნქციონერებს ეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოეპარათ, თუმცა სხვა ძირითადი დეტალები იცოდნენ.

ქართველები საერთაშორისო ფედერაციის ფრანგ ვიცე-პრეზიდენტს ესაუბრნენ ტელეფონით. იგი აწონვას ხელმძღვანელობდა და აღუთქვა, რომ 10 წუთის დაგვიანებას გაპატიებთო. გზად ოლიმპიური სოფლისკენ ავტობუსი 23 წუთით შეაყოვნეს იმის გამო, თითქოს ის დანაღმული იყო. ხახალეიშვილი სასწორთან 8 საათსა და 14 წუთზე მივიდა. მან ოთხი წუთით დააგვიანა. წესების თანახმად, სპორტსმენი შეჯიბრებიდან მოხსნეს.

ოქროს მედალი იმ საღამოს ფრანგმა დუიემ მოიგო. ქართველებმა დააფასეს ფრანგი ვიცე-პრეზიდენტის საქციელი, მან რეგლამენტს გადაუხვია და აწონვა ათი წუთით გააგრძელა. მართალია, ეს ქართველებისთვის ტრაგედია იყო, მაგრამ დადებითი მხარე მაინც გააჩნია. 25 წლის ხახალეიშვილს ოლიმპიადის მერე სპორტიდან წასვლა სურდა, ახლა კი ის სიდნეის ოლიმპიური მედლისთვის იბრძოლებს. საქართველო ბედნიერია.

ულრიხ ლოკე

გერმანულიდან თარგმნა ერეკლე ძიძილაშვილმა

ხელბურთი

წაგვართვეს...

29 მაისიდან თბილისში უნდა დაწყებულიყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი რუმინეთის, შვედეთის, ფინეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობით. მაგრამ, ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან ჩვენს ფედერაციას აცნობეს, ეს ტურნირი ბუქარესტშია გადატანილიო. რა იყო მიზეზი? ამის შესახებ განმარტება ვთხოვე ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს მერაბ მეტრეველს.

— ჩვენი ჯგუფის წევრი ახალგაზრდული ნაკრებების დაჟინებული თხოვნით ასპარეზობა ბუქარესტში გადაიტანეს. ამაში ყველაზე აქტიურნი რუმინელები იყვნენ. მათ მხარი აუბეს ფინელებმაც, რომელთა მოზრდილების ნაკრებთან შეხვედრისას ასკ-ს დარბაზში მატჩის რუმინელმა კომისარმა ჩვენი მასპინძლობა, უფრო სწორად, თამაშის ჩატარების პირობები, უარყოფითად შეაფასა. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგი შეხვედრებისას, რომლებიც სპორტის სასახლეში მოეწყო, მატჩის კომისრებს უკმაყოფილება აღარ გამოუთქვამთ, ევროპის ხელბურთის ფედერაციამ მათი თხოვნა დააკმაყოფილა. ძირითადი მიზეზი სპორტის სასახლეში ცხელი წყლის (იქ თერმოავზები დგას და ამან არ დააკმაყოფილათ) და კომუნიკაციების უქონლობა იყო. არადა, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები სერიოზულად ემზადებოდა ტურნირისთვის, გაიარა შეკრებები მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ახლა კი ჯემალ ბარამიძისა და ზაზა დოლიძის შეგირდებს მეტოქის მოედანზე მოუწევთ ასპარეზობა, რაც, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია.

კოტე მგალობლიშვილი

იყიდება
4-ოთახიანი ტიპიური
სუფთა ბინა
დიღმის მასივში, III
კვარტალში. დიდი
სარდაფით, ტელეფონით.
საწყისი ფასი
25 000 დოლარი
☎
72 37 22

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც საერთაშორისო ფედერაციის თავკაცთა დამსახურებაა: ჩემპიონატი ახალი ფორმულითა და წესებით ტარდება, ახალშემოღებულმა „საჩემპიონო ექვსეულის ტურნირმა“ მეტი ინტერესი და სიმწვავე შემატა შეჯიბრს, რადგან გუნდებს მეტი შანსი მიეცათ ადრინდელი შეცდომების გამოსასწორებლად, ფინალში ორი მოგების წესი კი, აშკარაა, დამკვიდრების ღირსია.

ფინალი (ორ მოგებამდე)

კანადა 3:1 შვედეთი

შაიბები: ეკლუნდი (მოგლუნდი, ნიულანდერი 31); სანდერსონი (გარონი 30), კარტერი (გრეტონი, ფრიზენი 39), რექი (გრინი, ჩესონი 48).

კანადელებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ და მაყურებელმა, როგორც იქნა, იხილა მათი საკადრისი თამაში. კანადელთა მწვრთნელმა მიურეიმ რამდენიმე ტაქტიკური ცვლილება მოახდინა. რექის ადგილას კარტერი გაამწესა და მას გრეტონი და ფრიზენი შეუწყვილა, რექი კი სანდერსონსა და გრინს შეუამხანაგა. სწორედ ამ სამეულმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

პირველი პერიოდი უგოლოდ დასრულდა. მეორეში შვედები შედარებით ღუნედ მოძრაობდნენ. პირველი გოლი სანდერსონმა გაიტანა — მეტოქის ყვანჯიდან ასხლეტილი შაიბა ჰაერიდანვე კარში გაგზავნა. 1 წუთში შვედმა ეკლუნდმა გაათანაბრა, მაგრამ კანადელთა შავკანიანმა კარტერმა მალევე დააწინაურა თავისიანები — 2:1.

მესამე პერიოდში კანადელები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, ამ დროს შვედები გააქტიურდნენ, მაგრამ მეკარე ბურკი მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, სკანდინაველთა მეტად საიმედო გოლკიპერმა სალომ, ალბათ, ჩემპიონატში ერთადერთი უხეში შეცდომა დაუშვა და რექის არცთუ ძლიერად დარტყმულ შაიბას კარისკენ გზა არ გადაღობა — 3:1 ასეთი ანგარიშით აიღეს რევანში კანადელებმა.

* * *

ჩემპიონატის მიწურულს ჟურნალისტებმა სიმბოლური ნაკრებიც შეადგინეს: მეკარე — სალო (შვედეთი); მცველები — ნუმინენი (ფინეთი) და ბლეიკი (კანადა); თავდამსხმელები — ნიულანდერი (შვედეთი), ვუიტეკი და მ. პროჰაზკა (ორივე — ჩეხეთი. სხვათა შორის, ვუიტეკი და მ. პროჰაზკა, ჯერჯერობით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებიც არიან 14 ქულით (7+7), ამასთან, 7-7 გატანილი გოლით ფრანგ დიუბესთან ერთად საუკეთესო სნაიპერების დავაშიც ლიდერობენ.

სამველ ლარიბიანი

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

გამომცემლობა „ჯი სი აი“-მ გამოსცა ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი „ფეხბურთი“.

წიგნში მოცემულია მოთხრობილი ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირზე; ფიფა-ში შემავალ ქვეყნებზე და მათ ნაკრებ გუნდებზე; მსოფლიოს უძლიერეს კლუბებზე; გამოჩენილ ფეხბურთელებზე, მწვრთნელებზე, მსაჯებსა და საფეხბურთო დიდ-მოხელეებზე.

წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ფეხბურთის გუშინდელი და დღევანდელი დღე. მოტანილია დიდძალი სტატისტიკური მასალა. წიგნი უხვადაა დასურათებული.

წიგნის შეძენის მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 95-31-99 და 95-82-82

იჩქარეთ! ტირაჟი შეზღუდულია!

NHL. სტენლის თასი

ფილადელფია — რეინჯერზი

წელს ჰოკეის ქომაგებს ნამდვილი ზეიმი ელით. როგორც იქნა, კონფერენციების ფინალურ ეტაპზე ისეთი გუნდები გავიდნენ, რომლებიც სანახაობრივ და ეფექტურ თამაშს უხდიან ხარკს. განსაკუთრებით სასიამოვნოა რეინჯერზის მიღწევა, რომელიც, ეტყობა, მადაზე მოვიდა და არც ფილადელფიასთან აპირებს რაიმეს დათმობას. ბრწყინვალედ თამაშობენ გუნდის ლიდერები ლეგენდარული გრეცკის მეთაურობით, რომელსაც 1988 წლის შემდეგ სტენლის თასი არ მოუგია და იქადნება, კარიერას ისე არ დავამთავრებ, თუ კვლავაც არ გავიმარჯვეო. იოლი მისახვედრია, გრეცკი და მისი თანაგუნდელები წელსვე შეეცდებიან გუნდის ლიდერის გულისნადების აცხადებას. რეინჯერზის გოლკიპერი რიხტერი ხომ ნამდვილ სასწაულებს სჩადის. მოკლედ, რეინჯერები დიდ პრობლემებს შეუქმნიან მათსავით საბრძოლველად განწყობილ მეტოქეს.

ფილადელფიას გამოცდილი მოთამაშეები ნამდვილად არ აკლია, მაგრამ მთავარ იმედს მრისხანე სამეულზე ამყარებენ — რენბერგი-ლინდროსი-ლეკლერი უთუოდ იმსახურებენ თანაგუნდელთა ასეთ ყურადღებას. ამ ტრიომ 10 შეხვედრაში 15 შაიბა და 16 პასი მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ეს ბრწყინვალე სამეული მაინცდამაინც რეინჯერზთან ვერ თამაშობს რიგიანად — ჩემპიონატის 6 მატჩიდან სამჯერ ნიუ-იორკელებმა იმარჯვეს, ორჯერ — „მფრინავებმა“, თანაც, ფილადელფიის ლიდერებმა მხოლოდ 3 გოლი გაუტანეს მეტოქეს — სამივეჯერ ლინდროსმა. 9 სათასო შეხვედრიდან ფილადელფიამ ხუთჯერ დაამარცხა მეტოქე, 1995 წელს მშრალი ანგარიშითაც კი — 4:0.



მოგეხსენებათ, პიტსბურგელთა დიდმა მარიო ლემიემ თავისი ბრწყინვალე კარიერა დაასრულა. მის პატივსაცემად ქალაქის ერთ მთავარ ქუჩას ლემიეს სახელი უწოდეს

შეგახსენებთ, რომ რეინჯერზი ოთხჯერ ფლობდა თასს — 1928, 1933, 1940 და 1994 წლებში, ხოლო ფილადელფიამ ორჯერ შეძლო მისი მოგება (1974-75 წლებში).

კოლორადო — დეტროიტი

ეს სერია, წესით, თასის გათამაშების მშვენებად უნდა იქცეს, რადგან ბოლო 2 წლის მანძილზე ყველაზე დაძაბული და პრინციპული ამ ორი მეტოქის შეხვედრები იყო. გუნდების შემადგენლობებით თუ ვიმსჯელებთ, აშკარა ფავორიტი კოლორადოა, რადგან [illegible] უკეთ თამაშობს [illegible] დასტურად დეტროიტელ[illegible] ოზეუდის [illegible] სენებაც კმარა. მხოლოდ დეტროიტელთა შეტევის ხაზი არ ჩამორჩება კოლორადოს. ამათი დუელის წინ იმის გახსენებაც უპრიანია, რომ შარშანდელი კონფერენციის ფინალში კოლორადომ სძლია ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს — 4:2 (მაშინ ლიგის ერთ-ერთმა „უბინძურესმა“ ჰოკეისტმა, კოლორადოელმა კლოდ ლემიემ დეტროიტელი დრეიპერი დაასახიჩრა). ასე რომ, „წითელფრთიანები“ რევანშისთვის სერიოზულად ემზადებიან. დეტროიტელებს არც წლევანდელ ჩემპიონატში სწყალობდათ ბედი — 4 შეხვედრიდან 3 წააგეს და მხოლოდ ერთხელ, სკანდალურ მატჩში, ორმხრივი ჩხუბისა და აყალმაყალის შემდეგ სძლიეს კოლორადოს — 6:5. წელს უკვე კოლორადოს მიიჩნევენ ფავორიტად, რამაც დეტროიტელები ფსიქოლოგიურად ერთგვარად განტვირთა. თუმცა მათი პასუხისმგებლობა ქომაგთა წინაშე იქნებ კოლორადოელებზე მეტია — დეტროიტელი ქომაგები უკვე 42 წელია ელიან საყვარელი გუნდისგან მათ ქალაქში სტენლის თასის ჩატანას.

ბომბარდირები — ლემიე 19 (10+9), საკიკი 19 (4+15), კამენსკი 17 (8+9), ფორსბერგი 16 (5+11) — ყველა კოლორადო, ლინდროსი 14 (6+8) — ფილადელფია, ოზოლინში 14 (4+10) — კოლორადო, კარია 13 (7+6) — ანაჰაიმი, უეიტი 12 (3+9) — ედმონტონი, გრეცკი 11 — (6+5), ლიჩი 11 (1+10) — ორივე რეინჯერზი და დ. მირონოვი 11 (1+10) — ანაჰაიმი.

სამველ ლარიბიანი

ავტორბოლა

კარნავალი რიოში

„გაოგნებული ვარ: ჩემს კარიერაში ეს პირველი რბოლაა, რომელში გამარჯვებაც ასე მოულოდნელი იყო ჩემთვის“ — განაცხადა რიო-400-ის დამთავრების შემდეგ კანადელმა პოლ ტრეისიმ. მართლაც, პირველობა მას მხოლოდ მას შემდეგ დარჩა, რაც ბოლოსწინა წრეზე ბობი რაჰალმა, რომელიც რბოლის უმეტეს დროს ლიდერობდა, საწვავის შესავსებად ბოქსებში შეუხვია.

მანამდე კი კვალიფიკაცია ემერსონ ფიტიპალდის სახელობის განახლებულ ტრეკზე, იქაურ მაყურებელთა გასახარად, ბრაზილიელი პილოტების — გუჟელმინისა და მორენოს გამარჯვებით დამთავრდა. გულშემატკივრები სამბას რიტმებით შეხვდნენ სტარტზე გასულ მრბოლებს და იმედოვნებდნენ, რომ შარშანდელივით მათი თანამემამულე მოიგებდა.

პილოტები სტარტზე ასე განლაგდნენ:

გუჟელმინი, მორენო, რაჰალი, ჰერტა, ტრეისი, ანდრეტი, პრუეტი, მური, ანსერი, დე ფერანი, ჰენრი, სალეში, ვასერი, ჯონსტონი, კარპენტიე, რიბეირი, ფერდინანდი, ბოესელი, ფრანკიტი, ბლანდელი, პაპისი, მაცუშიტა, ჯესპერი, მეიერი, ჰ. ჯ. ჯონსი, ჟურდანი, ფანხიო, ზანარდი.

ის იყო, მსაჯებს ასპარეზობის დაწყების ნიშანი უნდა მიეცათ, რომ უკანა რიგებში არეულობა დაიწყო — ჯონსტონმა ტრეკი მთლიანად გადაკვეთა, რამაც მის უკან ავარია გამოიწვია. ტრასაზე პეისკარი გამოჩნდა, დაზარალებულებმა ბოქსებს მიაშურეს „ჭრილობების მოსაშუშებლად“, სამმა პილოტმა კი ასპარეზობა მის დაწყებამდევე დაასრულა. რესტარტის შემდეგ გუჟელმინი და მორენო დაწინაურდნენ, ამ უკანასკნელს რაჰალი უტევდა და მალე გაასწრო კიდეც. მორენოს ახლა ტრეისიმ შეუტია და ის ის იყო, გასწრება სცადა, რომ ბრაზილიელის „სეიფტი“ დაზრიალდა. ტრეისიმ იმდენი მოახერხა, რომ შეჯახება აიცდინა და მესამე ადგილიც დაისაკუთრა. მე-14 წრეზე რაჰალმა გუჟელმინს გაასწრო და ბოქსებში შესვლამდე ლიდერობდა კიდეც, შემდეგ ორი წრე ანდრეტი უძღვებოდა ქარავანს, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერს რბოლის დამთავრება არ ეწერა — მისმა ძრავამ თანდათანობით დაჰკარგა სიმძლავრე და ამერიკელი 64-ე წრეზე რბოლას გამოეთიშა. ლიდერები ერთმანეთს ცვლიდნენ, სანამ 89-ე წრეზე რაჰალი არ დაწინაურდა. მაგრამ „ინდიკარის სერიის“ სამგზის ჩემპიონმა საწვავი 84-ე წრეზე შეივსო, ავზი კი 40 წრისთვის სამყოფ საწვავს იტევდა და სწორედ ამან გადაწყვიტა რბოლის ბედიც — რაჰალმა ვერ შეძლო ბოლო წრეზე შებრძოლებოდა ტრეისის, მოსახვევიდან გამოსვლისას მის ძრავს საწვავის ნაკლებობის გამო „ხველება“ აუტყდა და რაჰალიც ბოქსებში შევიდა, საბოლოოდ კი მე-10 ადგილს დასჯერდა. 28 წლის ტრეისიმ წელს ზედიზედ მეორედ (საერთოდ კი მე-12-ედ) გაიმარჯვა. საუცხოოდ იასპარეზა ალექს ზანარდიმ, რომელმაც სტარტი ბოლო პოზიციიდან აიღო, რბოლა კი მეოთხემ დაასრულა.

პოლ ტრეისი

ალეკო ჭაბუკიანი

რბოლის შედეგები.

დისტანცია 133 წრე — 247,912 მილი

1.	ტრეისი (პენსკე-მერსედესი)	2:10.47,996	20 ქულა
2.	მური (რეინარდ-მერსედესი)		16 ქულა
3.	პრუეტი (რეინარდ-ფორდი)		14 ქულა
4.	ზანარდი (რეინარდ-ჰონდა)		12 ქულა
5.	ბოესელი (რეინარდ-ფორდი)		10 ქულა
6.	ჰერტა (რეინარდ-ფორდი)		8 ქულა
7.	ანსერი (პენსკე-მერსედესი)		61 ქულა
8.	ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი)		5 ქულა
9.	გასერი (რეინარდ-ჰონდა)		4 ქულა
10.	რაჰალი (რეინარდ-ფორდი)		3 ქულა
11.	დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა)		2 ქულა
12.	ჯონსტონი (რეინარდ-ჰონდა)		1 ქულა

გუჟელმინმა (რეინარდ-მერსედესი) 1 ქულა მიიღო პოულისთვის, რაჰალმა 1 ქულაც ლიდერობისთვის.

პირადი პირველობა:

1. ტრეისი 65 ქულა; 2. პრუეტი 61; 3. ზანარდი 55; 4. ანდრეტი 51; 5. მური 44; 6. ვასერი 33; 7. ანსერი 32; 8. გუჟელმინი 29; 9. ბოესელი 26; 10. დე ფერანი 25.

SOS

გადავარჩინოთ და ავაღორძინოთ

მოგეხსენებათ, სპორტის ტექნიკურ სახეობებს სსრ კავშირის დაშლამდე საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

აქ გაერთიანებული იყო საავიაციო, ავტოსამოდელო, გემთსამოდელო, რადიოსპორტის, სამხედრო მრავალჭიდის, ავტო და მოტოსპორტის ოცდაათამდე სახეობა.

რესპუბლიკის თითქმის ყველა დაბასა და ქალაქში მოქმედებდა შესაბამისი სპორტული სექციები, დიდ ქალაქებში ჩამოყალიბებული იყო ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლები, სადაც ასობით მოზარდი იყო ჩაბმული ამა თუ იმ სახეობაში. ტარდებოდა საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო შეჯიბრებები. რუსთავის მისადგომებთან აშენდა საერთაშორისო დონის სპორტული კომპლექსი თავისი სასტუმროთი. ჩვენი ნაკრები გუნდები სისტემატურად მონაწილეობდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. თითქმის ყველა სახეობაში გვყავდა საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები თუ ჩემპიონები...

მოკლედ, სპორტის ეს სახეობები ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის. ამიტომაც იყო, რომ ამ საქმეში ჩაბმული მოზარდებისგან იზრდებოდნენ მაღალი დონის მექანიკოსები, ინჟინრები თუ სამხედრო სპეციალისტები.

ჩვენ, სპორტის ამ სახეობათა სპეციალისტები, ვიმედოვნებდით, რომ მას მერე, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, უფრო მეტად დავჭირდებოდით ჩვენს ქვეყანას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ჩვენი სპორტსმენები ეროვნული დროშით დაიცავდნენ ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ მოხდა პირიქით: მაშინდელმა გასამხედროებულმა ქვედანაყოფებმა ამხელა, სამინისტროს მასშტაბის ორგანიზაცია საჯიჯგნად გაიხადეს.

ჯერ იყო და, მხედრიონმა მიითვისა დოსააფის კუთვნილი მძიმე ტექნიკა და ნაგებობა, რაც დარჩა, მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა გვარდიის სამმართველოს კუთვნილებად გამოაცხადა და მას შემდეგ დაიწყო მისი გაცამტვერება. დოსააფის კუთვნილი შენობა-ნაგებობები, სპორტული ტექნიკა და რესპუბლიკური სპორტული ბაზა გვარდიელების საცდელ პოლიგონად იქცა.

ცალკეული ენთუზიასტების მეშვეობით ამ ტექნიკის ნაწილი გადაიმალა და დღესაც მწყობრშია.

მათივე მეშვეობით ზოგიერთ სახეობაში ჩამოყალიბდა ფედერაციები და შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობენ, როგორმე აღორძინონ ეს სახეობები, მაგრამ ისინი დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან. როგორც უკვე ვთქვით, სპორტული ბაზები, ტექნიკური ლაბორატორიები და ავტო-მოტოტექნიკა დღესდღეობით თავდაცვის სამინისტროს ბალანსზეა, ეს უკანასკნელი კი არც თმობს მათ იმ მოტივით, რომ ამ სამინისტროს კუთვნილი ტექნიკა და ნაგებობები პრივატიზაციას არ ექვემდებარებაო, და არც ამ სპორტის აღორძინებას აპირებს.

რა ჰქნან, მაგალითად, ავტოსპორტისა და კარტინგის ეროვნულმა ფედერაციებმა, რომლებიც დიდძალი ხარჯების გაღებითა და მცდელობით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის — FIA-ს წევრები გახდნენ, წელს კი ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით თბილისში დაგეგმილია ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის ჩატარება.

ჩვენი ბაზები უპატრონობით ნადგურდება, უნიკალური ავტო-მოტოტექნიკა სარდაფებში ჟანგდება, მწვრთნელები ექვსი-შვიდი წელია, დაუსაქმებელნი არიან. ხოლო ის სპორტსმენები, რომლებმაც თავის დროზე ამ ტექნიკის გასამართად საკმაო ფული და ენერგია დახარჯეს, დღეს იძულებულნი არიან საკუთარი მანქანებით ჩაებან ამ დიდ ასპარეზობებში.

ერთი სიტყვით, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ყოფილი დოსააფის ორგანიზაცია გამოეყოს თავდაცვის სამინისტროს და გადავიდეს თვითდაფინანსებაზე — მისი ბაზები და მძღოლთა მომზადების კურსები იძლევა ამის საშუალებას. ამ და სხვა საშუალებებით შემოსული თანხის დიდი ნაწილი მთლიანად უნდა მოხმარდეს სპორტის აღორძინებას, რათა ამუშავდეს ის სპორტული სექციები, სადაც კიდევ არსებობს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მწვრთნელები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ საქმიანობას და მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი ქუჩასა და უსაქმურობას მიძალებული ახალგაზრდები. ფედერაციებმა კი უნდა უზრუნველყონ სპორტული ღონისძიებები, უნდა დააკომპლექტონ საქართველოს ნაკრები გუნდები და ჩაებან საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ეს იქნება ლოგიკური გაგრძელება ამ ექვსი-შვიდი წლის წინ მიტოვებული საქმიანობისა.

ვეტერანი სპორტსმენები სახელით

ვანო ტურაშვილი, *კარტინგის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*, თენგიზ ლატარია, *საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავტოსამოდელო სპორტში*, ვიქტორ თოდაძე, *ავტოსპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი*, გურამ დგებუაძე, *სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი და პრიზიორი ავტოსპორტში*, შოთა მარიკაშვილი, *ავტოსპორტის ვეტერანი, სპორტის ოსტატი*, კოტე ცალქალამანიძე, *სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი მოტოსპორტში*, დავით ჩხაიძე, *სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ავტოსამოდელო სპორტში, საერთაშორისო სპორტის ოსტატი*, პაატა შარიფაშვილი, *საერთაშორისო სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი*.

ჩოგბურთი

ევროპაში სათიხნარო სეზონი გახურდა. წლის მთავარ შეჯიბრამდე — საფრანგეთის ღია პირველობამდე კვირანახევარიღა რჩება.

ქალები ბერლინში, გერმანიის ღია პირველობაზე თამაშობენ. ჰონორარებად 927 ათასი დოლარი უნდა დარიგდეს.

მობეზრო გერმანელი შტეფი გრაფი სამ-თვე-ნახევარი უქმობის შემდეგ ასპარეზს დაუბრუნდა — ტოკიოში ნატკენი მუხლი მოირჩინა. სამაგიეროდ, ვერა თამაშობს მისი მემკვიდრე, ნორჩი შვეიცარელი მარტინა ჰინგისი, მუხლი ცხენის ჰენებიასას რომ დაიშავა.

გრაფი გერმანიის 9-გზის (!!!) ჩემპიონია. ორშაბათს ინეს გოროჩატეგთან (არგენტინა) ერთად 4:6, 6:3, 3:6 წააგო რიკა ჰირაკის (იაპონია) და ფლორენსია ლაბატის (არგენტინა) წყვილთან, სამშაბათს კი პირდაპირ მეორე წრიდან ჩაება ერთეულთა შეჯიბრში.

შტეფი ეთამაშა 21 წლის ზანგ ჩანდა რუბინს (აშშ, 27-ე ჩოგანი) და გაჭირვებით მოუგო 6:3, 3:6, 6:1. არადა, მანამდე რუბინი ხუთჯერ ეძლია ორ ხელში.

ვაჟები რომის „ფორო იტალიკოზე“ ასპარეზობენ. 2,3 მილიონის გასანაწილებლად თავი მოუყრია კლასიფიკაციის მოწინავე ათეულის — ცხრა, ოცეულისა კი — 17 წევრს.

შარშანდელმა ჩემპიონმა თომას მუსტერმა (ავსტრია, 3), წელს თიხაზე უხეიროდ რომ თამაშობს, რომში კი მეოთხედ გამარჯვებას გეგმავს, ორშაბათს ძლია იტალიელი მარციო მარტელი 6:3, 6:2. ამ დღესვე ქარიმ ალამიმ (მაროკო) 6:2, 6:0 გააგდო მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 16), ხოლო მაგნუს ლარსონმა (შვედეთი), 4:6, 7:5, 7:6 (7-5) — ვეინ ფერერა (სამხრ. აფრიკა, 9), ვინაც 5 მატჩ-პოინტი დაანიავა.

სამშაბათს ისევ დამტკიცდა, რომ პიტ სამპრასი (აშშ, 1) ვერაფერი მეთიხნარეა. იტალიის 1994 წლის ჩემპიონი პირველსავე წრეში გადაეყარა 1992-93 წლების გამარჯვებულს, აწ კი 24-ე ჩოგან ჯიმ კურიეს (აშშ). კურიესავე თქმით, იგი თუ აქამდე თავისი სიტუტუცით აგებდა სამპრასთან, ამჯერად სამპრასმა წააგო თავის თავთან — 36 უნებური შეცდომა დაუშვა, 6:7 (5-7), 4:6 დამარცხდა და მოსეირეთა დაცინვაც იგემა.

მაიქლ ჩანგმა (აშშ, 2) წელს უკვე ოთხი ტურნირი მოიგო, თიხაზე კი ერთაგან, ორლანდოში ჩემპიონი გახდა, მეორეგან, ატლანტაში კი პირველსავე წრეში გავარდა. რომში ჩინელმა „ატლანტური“ გააგორა — მას 54-ე ჩოგანმა ერნან გუმიმ (არგენტინა, **როიტერის** ფოტოზე) 6:3, 6:2 მოუგო.

„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

რაგბი

ბურთაობა კარგი იციან, მაგრამ ჯერ ვერ იმარჯვებენ

ინდოელ მოკრიკეტეთა მწვრთნელ მადან ლალს უთქვამს, ჩემი შეგირდები შინ თუ მბრდღვინავი ლომები არიან, სტუმრად უმწეო კრავებად იქცევიანო.

თუ „ბორჯღალოსნების“ ბოლო ორი სეზონის შედეგებით ვიმსჯელებთ, ქართველ მორაგბეთა მწვრთნელებს — გურამ მოდებაძესა და დავით კილასონიასაც ჩვენი უპირველესი გუნდის წევრების შესახებ შესაძლოა მსგავსი აზრი შექმნოდეთ. ჩვენებმა შინ გამართული ოთხი დიდი თამაში მოიგეს, სტუმრად კი მარტო ჩეხეთს მოერივნენ, სამაგიეროდ, დანარჩენ სამ მეტოქესთან დამარცხდნენ.

არადა, საქმე მთლად ასე ვერაა. მთავარი მწვრთნელი ამბობს, ბიჭებმა პოლონეთშიც დადეს თავი და მოგებისთვის ყველაფერი გაიღეს; გამარჯვებაც შეეძლოთ და თუ ვერ შეძლეს, ისევ თავიანთივე უგერგილობის გამოო.

ამავე აზრზე დაგვაყენა ხილვამ მატჩის იმ სრული ვიდეოსი, რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა გია კუბლაშვილმა რომ გადაიღო. ეს მუხლჩაუხრელი მუშაკი ნაკრებს ყველგან თან ახლავს და საშვილიშვილო საქმესაც აკეთებს — დამოუკიდებელი ქართული რაგბის კინო-მატიანეს ქმნის.

„ბორჯღალოსნებმა“ გვარიანად იბურთავეს. მეტოქეს კლასითა და რაგბის ცოდნით ნამდვილად აჯობეს. ბურთის ცირკულაციაშიც „ფრიადი“ დაიმსახურეს — თითქო ავსტრალიის „ვოლაბები“ არიანო, ჩვენი მორკინალები და უკანა ხაზი მარჯვედ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს: იყო ზედიზედ დაჯახება, ბურთის ჩადება, ალება, გარღვევა, ისევ დაჯახება — ერთი სიტყვით, თანამედროვე რაგბის საკადრისი მრავალ-ფაზა იერიშები, მეტოქეს გაუთავებელი დაცვით არაქათს რომ აცლის და სულიერად აჩიავებს.

არ იყო მხოლოდ ჩანაფიქრის დაბოლოება. ლელო ვერ გაგვქონდა: ხან ბოლო პასი იყო უზუსტო ან გვიანი, ხან იერიში არასწორად განვითარდებოდა, ხანაც მეტოქე დაჯარიმდებოდა. და მაინც, უნდა ითქვას, რომ ჩვენებმა რაც ქულა მოიხვეჭეს, სულ ნარჩევ-ნარჩევი თამაშის წყალობით, და ერთი ამდენიც დაფლანგეს.

მწვრთნელებს თამაშამდე ბევრი თავსატეხი ჰქონდათ: „იტალიელთა“ და „ფრანგთა“ პოლონეთში ჩაუსვლელობამ შემადგენლობა აურიათ. შუამარბთა შეწყობილი დუეტი არ გახლიჩეს, 10 ნომერი გარემარბად დააყენეს, 9 — 10-ად. თამაშშიც ბევრი დაიმტვრა. დამატებითი დროის ბოლოს ყველა ოპტიმალურ ადგილას აღმოჩნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

უკანა ხაზმა იბურთავა. მატჩის პირველი მიძალების შემდეგ საჯარიმო გაგვიცუდდა. მერე პოლონელები ორი გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ ჩვენებმა ნელ-ნელა ძალიან აჯობეს. ანგარიში გაუაიმდა. მერე ისევ ორი საჯარიმო გავიცუდდა, მაგრამ ლელო ომით რომ გავიტანეთ, ძირითადი კვაჰი დაგვიშავდა.

პოლონელები ბედს შერიგებოდნენ. ჩვენებმა ორი ნაღდი ლელო და ორი საჯარიმო ვერ გაიტანეს. მასპინძლები გონს მოეგნენ და შემოგვიტიეს. სამ მომდევნო სათამაშო მონაკვეთში ზედიზედ 7-ჯერ დავჯარიმდით. პოლონელებმა ლელო გაიტანეს. მერე წინ გასვლის შანსები მათაც დაფლანგეს, ბოლო წუთზე კი ჩვენებს უნდა გაეტანათ ლელო. სულ ამაოდ!

დამატებითი დრო, ბოლო წუთების გარდა, მასპინძლებისა იყო. მათ დამსახურებულოად მოგვიგეს!

10. V. სოპოტი. „ოგნივოს“ სტადიონი

პოლონეთი 29:23 საქართველო

(26:16; 16:16, 9:9). მსაჯი კლაუს ბლანკი (გერმანია)

პოლონეთი — 2ლ (14:16, 21:16); 2გ (16:16, 23:16); 5ს (3:0, 6:3, 9:3, 26:16, 29:16)

საქართველო: 15 იურინი; 14 მაჩიტიძე (> 13), 13 ძონენიძე (14 ანდღულაძე *), 12 ალანია (> 10), 11 ბუგიანიშვილი; 10 მოდებაძე (> 9), ხუციშვილი (12 ჩხენკელი *) — 1 მთიულიშვილი (> 2), 2 ფირცხალავა (1 რეხვიაშვილი) ((1 ჩიქავა)), 3 მაჭუტაძე; 4 კაცაძე *, 5 პარნიკანაშვილი; 6 ლაბაძე (8 ვართანიანი), 7 ურუშაძე * (მგელაძე), 8 ობოლაძე (კაპ) (> 6). — 2ლ: კაცაძე (9:14), ანდღულაძე (29:21); 2გ (9:16, 29:23) და 3ს (3:3, 9:6, 9:9): იურინი. (* ახალბედა; > გადავიდა)

ეშველათ!

გუშინ, გამთენიისას, თბილისიდან დუბაისა და სინგაპურის გავლით ქრაისთჩერჩს (ახალი ზელანდია) გაფრინდა ორი ქართველი მორკინალი — ალეკო ღიბრაძე და ზურა მჭედლიშვილი. ისინი თიმარუს (სამხრეთი ქენთებრი) მავან კლუბში იქაური სეზონის ბოლომდე გაივლიან სტაჟირებას.

თუმც ჩვენი ბიჭების ზელანდიაში შესაძლო გამგზავრების ამბავს 1 მარტს ვიუწყებოდით, რაგბის კავშირის გენერალური მდივნის გულმავიწყობის გამო ალეკოსა და ზურას მინიმუმ ორი თვე გაუცდათ. აფსუს!

დღეს დაკრძალავენ პირველი თაობის დინამოელ მორაგბეს, ღვაწლმოსილ სპეციალისტ

ლევან ბარდაფხაძეს

ტელევიზია

საქართველოს დროით!

დღეს, ხუთშაბათს, 15 მაისს

11.30 გოლფი: მანდილოსანთა ევროპის ღია პირველობა. ეშტორილიდან (პორტუგალია); 12.30 მოტო-კროსის ჟურნალი „ქრქ“; 13.00 ავტორბოლა: კარტ-ის (ყოფილი ინდიკარის) მსოფლიო სერიალი. რიოდან (ბრაზილია); 15.00 ავტოჟურნალი „ძრავები“; 15.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 16.30 ავტორბოლა: ჯი-თის პირველობა. სილვერსთოუნიდან (ინგლისი); 17.30 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. პრაღიდან; 18.00 ჩოგბურთი: იტალიის ვაჟთა ღია პირველობა. IV დღე (პ); 22.00 „ძრავები“ (-); 22.30 სუმო: ბაშოს ტურნირი. ოსაკადან (იაპონია); 23.30 ჩოგბურთი (გაგრძელება); 2.00 კრივი; 3.00 აფროსნობის ჟურნალი; 3.30 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 4.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“ (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 16 მაისს

11.30 აფროსნობის ჟურნალი; 12.00 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები“; 12.30 ავტორობლა: კარტინგის გრან-პრის სერიალი. საფრანგეთიდან; 13.30 „ძრავები“ (-); 14.00 თანამედროვე ხუთჭიდი: მსოფლიო თასი. გერმანიიდან; 15.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 16.00 მოტოციკლი: მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის დიდი პრიზი. ვარჯიში (125 და 500 კუბ. სმ). მუჯელოდან; 18.00 ჩოგბურთი: იტალია (პ); 22.00 მოტოციკლი: 250 კუბ. სმ; 23.00 ჩოგბურთი: იტალია. მეოთხედფინალი; 1.00 ჩოგბურთი (-) (რ); 2.00 მოტოციკლი: ჟურნალი „პოულ“; 3.00 კრივი; 4.00 IMSA-ის მსოფლიო პირველობა. ატლანტის დიდი პრიზი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

მსოფლიო რაგბი

15.V 14.30; 16.V 9.30; 17.V 2.30

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

საქართველოს პირველობა

„ბ“ ჯგუფი

9. V. თბილისი 19 (3ლ, 2გ) — ძორეგი II 0

10. V. შევარდენი 43 (14) (6ლ, 5გ, ს) — უნივერსიტეტ - ლელო 3 (3) (ს)

„ა“ ჯგუფში

თამაშები ზეგ იწყება. უახლოესი დიდი მატჩი, რომელიც „სარბიელის სინისთვის“ სეზონის პირველ შებმად შეიძლება იქცეს, დღეის სწორს, 22 მაისს გაიმართება. სინის მფლობელი და ქვეყნის ჩემპიონი „გუმარი“ ეთამაშება პოტენციურ მოცილესა და ბრინჯაოს პრიზიორ „ქორებს“.

კალათბურთი

ეროვნული ასოციაციის პირველობა

პლეი-ოფის მეორე წრე

(ოთხ მოგებამდე)

აღმოსავლეთი კონფერენცია

ჩიკაგო ბულზ (1) — ატლანტა ჰოუქს (4) 4-1

13. V. ჩიკაგო — ატლანტა 107:92

ქულები: ჯორდანი 24; კერი და პიპენი 15; როდმანი და ვილიამსი 12 — ლაეტნერი 23; ბლეილოქი 20; კორბინი 19

მაიამი ჰიით (2) — ნიუ-იორკ ნიქს (3) 1-3

12. V. ნიუ-იორკი — მაიამი 89:76

იუინგი 20; პიუსტონი 17; ჯონსონი 15 — პარდევეი 14; მურნინგი 13; მაშბურნი 12

დასავლეთი კონფერენცია

იუტა ჯაზ (1) — ლოს-ანჯელეს ლეიკერზ (4) 4-1

12. V. იუტა — ლეიკერზი 98:93

მელოუნი 32; რასელი 22 — ვან ექსელი 26; შაკილ ონილი 23

სიეტლ სუპერსონიქს (2) — ჰიუსტონ როკიტს (3) 2-3

13. V. ჰიუსტონი — სიეტლი 94:100

ოლაჯუონი 31; დრექსლერი 26; ბარკლი 17 — პერკინსი 23; პეიტონი 21; კემპი 20; შრემფი 15

პერკინსი ბარკლი პეიტონი



სნუქერი, ქერლინგი, ლაკროსი

ყარაჩიდან კვლავ შეგვეხმიანა ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ხელოვნებათმცოდნე, ქველმოქმედი და **უცხო ხილთა** ტრფიალი

ყაფლან ჯანდიერი

მსოფლიო სპორტის. შორეველი ქომაგის ელექტრო-ბარათები

რა გე-უცხო-ხილეობაო, შეიძლება შემომიტიოს მავანმა ტრადიციონალისტმა, თუ კვირას, მსოფლიოს უსაყვარლეს სადაფო თამაშში — ინტელექტუალურ ჭადრაკში, სულ ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი, რამ მოხდა: მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, ვისაც ტრადიციულად ახლდა დედამისი — ქალბატონი კლარა, 1,1-მილიონ-დოლარიანი მატჩის ბოლო, VI ხელი 19 სვლაში წააგო „აი-ბი-ემ“-ის ზე-კომპუტერ „დიიფ ბლუ“-თან და მატჩშიც დამარცხდა. ერთი სიტყვით, აღსრულდა ის, რაც სამეცნიერო ფანტასტიკაში კი ეწერა, მაგრამ მაინდამაინც არა ჯეროდა დიდ მიხაილ ბოტვინიკს.

აი, მე კი მაინც ჩემსას გავაგრძელებ და საზოგადოებას სამ უცხო სპორტსაც წარვუდგენ.

პირველი — **ქერლინგი** გაისად, ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადაზეც იქნება, მაგრამ რად გინდა: ამ სალაღობო თამაშისადმი მაყურებლის ინტერესი ისე დაეცა, რომ ბოლო ორმა მსოფლიო პირველობამ დიდძალი ფინანსური ზარალი ნახა. ჰოდა, საგაისო მასპინძელმა გლაზგომ აღარ ისურვა შეჯიბრის გამართვა. მერე ქერლინგის საერთაშორისო ფედერაციამ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკ) კრედიტად 400 ათასი თხოვა, რათა სამაგიერო შეჯიბრი კანადაში გამართოს.

ბოლო ჩემპიონატი ამ სამი კვირის წინ ბერნში დასრულდა. ვაჟთა ფინალს თვით სოკ-ის პრეზიდენტი სამარანჩი დაესწრო. შვედეთმა 6:3 დაამარცხა გერმანია. წინადღით კანადელმა ქალებმა ნორვეგიელები 8:4 ძლიეს.

როიტერ-ის ფოტოზეც სწორედ რომ სამგზის ჩემპიონი, კანადელთა კაპიტანი სანდრა შმირლერი აგორებს ქვას, თანაგუნდელი კი ცოცხით ყინულის ბილიკს უხეხავს.

ბრიტანულ, ფერად-ბურთულიან ბილიარდს — **სნუქერს**, ქერლინგისგან განსხვავებით, ფული არ უჭირს. 19 აპრილს დაიწყო და 6 მაისს დასრულდა პროფესიონალთა 21-ე მსოფლიო პირველობა. მას ტრადიციულად უმასპინძლა შეფილდის „კრუსიბლ სიეთრმა“, რომელიც კოხტა და მყუდრო, 996-ადგილა თეატრია.

ჩემპიონი შეიცვალა: შოტლანდიელი სთივენ ჰენდრი სულ მეექვსე, ზედიზედ კი მეხუთე ტიტულს უმიზნებდა, მაგრამ უკვე ნახევარფინალში დაეტყო, რომ ის ველარ იყო, რაც უწინ ყოფილა: ჯეიმზ ვატანას (ტაილანდი) ბოლოსლა მოუგო 17:13. ამასობაში, ირლანდიელმა კენ დოჰერტიმ ასევე ნახევარფინალში 17:7 დაამარცხა ალენ რობიდუ (კანადა).

ფინალს დოჰერთი თავიდან ბოლომდე ლიდერობდა და საბოლოოდ 18:12 გაიმარჯვა. ამისთვის 27 წლის დუბლინელმა 210 ათასი გირვანქა (340 ათასი US$) მიითვალა და შინ რომ დაბრუნდა, აეროპორტში დედა და ქალაქის მერი დაუხვდნენ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჯონ ბრუთონმა თავისთან გადაიპატიჟა, პრეზიდენტმა მერი რობინსონმა კი მიულოცა.

ჯანდიერის მისამართია

Qaflan@
HuzLiBab.edu.pk

ლაკროსი არა-ოლიმპიურია. ჩვენი ცხენ-ბურთის ახლობელია, ოღონდ — უცხენოდ. 10 მოთამაშე ორჯერ 25 წუთის მანძილზე ბადიანი ჩოგნებით მიაქანებს ბურთს მეტოქის ბადისაკენ, რომელსაც მეკარე იცავს.

მსოფლიოს V პირველობა 4 მაისს დასრულდა ტოკიოში. ჩეხეთის ქალები არ გამოცხადდნენ, იაპონიამ კი წრიულ ტურნირში დანაჩენ ექვს მეტოქესთან წააგო. V ადგილისთვის კანადამ 6:5 ძლია შოტლანდია, III ადგილისთვის ინგლისმა 18:4 დაანგრია უელსი, ფინალში კი, „პირველ გოლამდე დამატებით დროში“ რომ დამთავრდა, აშშ-მა 3:2 დაამარცხა ავსტრალია და ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კანტელიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მჭედლიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29